ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+
კეისრები
8 ლარი
26 ივლისიდან




ოთხშაბათი, 27 ივლისი, 2011 №176 (5557 ) ფასი: 30 თეთრი

# ბოკერიასთან ფლირტი ოპოზიციას დაღუპავს!

26 მაისს 17 ჟურნალისტი აწამეს გვ.5

## არ გადაიხადოთ სააკაშვილ-უგულავას ტარიფი!

გვ.3



## ხელისუფლება კალაძის წინააღმდეგ საქმის წარმოებას იწყებს

გვ.2



რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ნაციონალები და ნაკრების კაპიტანი

## ასლან აბაშიძის „ქისა“ სააკაშვილს აფინანსებს

გვ.3



## ლეღვის ფოთლის ნახარშით დამწვრობის კიდევ ორი შემთხვევა დაფიქსირდა

ლეღვის ფოთლის ნახარშით თბილისში კიდევ ორმა ახალგაზრდამ მიიღო დამწვრობა. თბილისის დამწვრობის ცენტრში გუშინ 21 და 22 წლის გოგონები მოათავსეს, რომლებმაც უკეთ გარუჯვის მიზნით სხეულზე ლეღვის ფოთლის ნახარში გადაივლეს და მცხუნვარე მზის ქვეშ დაწვნენ.

გოგონების მდგომარეობა იმ დღესვე დამძიმდა, თუმცა ოთხი დღის განმავლობაში ისინი სახლის პირობებში მკურნალობდნენ, შემდეგ კი საავადმყოფოს მიმართეს.

— ორივემ ამბულატორიული მკურნალობა გაიარა და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, — განაცხადა დამწვრობის ცენტრის დირექტორის მოადგილე გუგა ქაშიბაძემ. დამწვრობის ცენტრში აცხადებენ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სპეციალური რეპორტაჟის გასვლის შემდეგ („მზე და ლეღვის ფოთოლი“), კლინიკაში ლეღვის ფოთლის ნახარშით დამწვრობის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო.

მედიანიუსი



## ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის ძალის ეშინია

გვ.4

სააკაშვილის რეჟიმის „გაპრავება“ აღარ უნდა მოხდეს!



## ხელისუფლებამ ეკლესიის მიმართ დიდი შეცდომა დაუშვა

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 მაღალი ტემპერატურა კვლავ შენარჩუნდება

5 გიორგი ლალიძე: სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაიაფებაზე რეკომენდაცია გაიცა

3 მიხეილ სააკაშვილი ბელორუსს კიდევ ერთხელ ექომაგება

6 ნიკოლოზ მჟავანაძე: საქართველოს გაუდაბნოება ელის

# ხელისუფლება კალაძის წინააღმდეგ საქმის წარმოებას იწყებს

## რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ნაციონალები და ნაკრების კაპიტანი

თეა მარხვაი ე

**საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალა ესა და ჩვენს ხელისუფლებას, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაუფუჭდათ საქმე. ახლო წარსულში ხელისუფლებას კალა ე ლამის საფიცარ ხატად ჰყავდა, ახლა კი მის წინააღმდეგ საქმის წარმოებას იწყებენ.**

საქართველოს მთავრობა კახი კალაძის წინააღმდეგ საქმის წარმოებას იწყებს. როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ძაგნიძემ განაცხადა, სახელმწიფო კახი კალაძის კომპანიის „არსენალ სითის“ წინააღმდეგ საქმის წარმოებისათვის იურიდიულ მომსახურებას შეიძენს.

„არსენალ სითიმ“ თავის დროზე არ შეასრულა სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებები და, შესაბამისად, სახელმწიფო შეისყიდის იურიდიულ მომსახურებას და დაიწყებს იურიდიულ პროცედურებს. სახელმწიფო იმოქმედებს ისე, როგორც ეს კანონის ფარგლებშია გათვალისწინებული“, — აცხადებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას მინისტრის მოადგილე.

ფეხბურთელ კახი კალაძესა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის მოლაპარაკებები თანხის დაფარვის გრაფიკის შედგენაზე ორ წელზე მეტია მიმდინარეობს, თუმცა ინვესტორი და სახელმწიფო დღემდე ვერ შეთანხმდნენ. სახელმწიფომ „არსენალ სითისთან“ ხელშეკრულება 2008 წელს გააფორმა. ხელშეკრულების მიხედვით, ინვესტორს 38 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა და 2016 წლამდე 700 მილიონი ინვესტიცია განეხორციელებინა.

კალაძეს 2008 წლის დეკემბრამდე უნდა დაეფარა 38 მლნ 20 ათასი დოლარი. თუმცა მან ბიუჯეტში ამ თანხის ნაწილი, 18 მლნ 10 ათასი დოლარი შეიტანა. დღემდე კომპანიას საპრივატიზაციო დარღვევებისთვის, ყოველდღიურად 19 ათასი აშშ დოლარის საურავი ერიცხება.

კახი კალაძისა და მთავრობას შორის უთანხმოება 2008 წლიდან არსებობს. აგვისტოს ომის შემდეგ კალაძე ეკონომიკის სამინისტროსგან პროექტის განხორციელების ვადების გადაწევას მოითხოვდა.

ცოტა ხნის წინ, კომპანიის დამფუძნებელი კახი კალაძე აცხადებდა, რომ „არსენალ სითის“ მსგავსი მრავალმილიონიანი ბიუჯეტის პროექტის განხორციელებას გლობალური კრიზისის ფონზე აზრი ეკარგება და ამიტომ კალაძე ვალდებულებების გადავადებას ითხოვდა.

ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი ლაშა ჟვანია კალაძეს პროექტში პარტნიორის შეყვანას სთავაზობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიწის ნაკვეთის ჩამორთმევით ემუქრებოდა.

პროექტის მიხედვით, „არსენალ სითი“ მრავალფუნქციური კომპლექსია, რომელიც საცხოვრებელ, საოფისე და რეკრეაციულ ზონებს აერთიანებს. სახელმწიფოსთან აღებული ვალდებულებით, კომპანიამ კომპლექსის ტერიტორიაზე ასევე სამთავრობო ოფისები უნდა ააშენოს.

მართალია კალაძესა და ხე-



ლისუფლებას შორის უთანხმოება 2008 წლიდან არსებობდა, მაგრამ ის ბოლო პერიოდში გამწვავდა. ნაკრების კაპიტანს პოლიტიკური ორიენტაცია რომ არ შეეცვალა, ჩვენი ხელისუფლება „არსენალ სითის“ დავალიანებაზეც დახუჭავდა თვალებს.

მარტო კი არ დახუჭავდა, კალაძეს ბევრ რამეს გაუკეთებდა. მაგრამ ნაკრების კაპიტანმა ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვარდისფერი სათვალით აღარ შეხედა. უცბად აღმოაჩინა, რომ საქართველო სულაც არ იყო ისეთი დემოკრატიული და გაბრწყინებული ქვეყანა, როგორზეც სააკაშვილი ბევრს საუბრობდა.

ხელისუფლების წინააღმდეგ კალაძემ არაერთი განცხადება გააკეთა. თავიდან ნაციონალები არაფერს ამბობდნენ. მერე მათაც ამოუვიდათ ყელში და კალაძის წინააღმდეგ შავი პიარიც აგორდა.

კალაძეს საწინააღმდეგო კამპანიად შეფასდა გიორგი დემეტრაძის დაკავების ფაქტი. გიორგი დემეტრაძეც ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და ის კალაძის ძმაკაცია. როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, დემეტრაძე კალაძეზე შურის საძიებლად დააპატიმრეს. მეორე ვერსიით კი, კალაძეს ხელისუფლებამ დემეტრაძის გათავისუფლების სანაცვლოდ დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს.

ამ ინფორმაციას ხელისუფლების წარმომადგენლებმა სისულელე უწოდეს. ეს ფაქტი არც თავად კალაძემ დაადასტურა. თუმცა მისი განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლებასთან ძალიან რთულად აქვს საქმე.

მან გიორგი დემეტრაძესთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებაც გაავრცელა. თუმცა ამას ხელისუფლებაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ამ განცხადებას არც სპორტსმენები გამოხმაურებიან. არადა, განცხადება ეროვნული ნაკრების კაპიტანმა გააკეთა. თუმცა, ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. 26 მაისს სამართალდამცავებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს ცნობილი მოჭიდავე ლუკა კურტანიძე. ნაციონალებზე შეყვარებულ ჩვენს სპორტსმენებს ამ ფაქტის გაპროტესტება აზრადაც არ მოსვლიათ. და როგორ გგონიათ, აწყობილ ცხოვრებას კალაძის გამო გაიფუჭებდნენ.

ცხადია, არ გაიფუჭეს და თითქმის არავინ გამოეხმაურა ნაკრების კაპიტნის განცხადებას. კაპიტანს არც 26 მაისის შემდეგ გაკეთებული განცხადების გამო გამოხმაურებია ვინმე.

არადა, იმ სისხლიან დარბევასთან დაკავშირებით კალაძემ ძალიან მწვავე განცხადება გააკეთა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, ღამით მოხდა შემზარავი ტრაგედია, სამართალდამცავთა მიერ სასტიკად იქნა დარბეული მშვიდობიანი მიტინგის მონაწილენი, ასაკისა და სქესის განურჩევლად დაუნდობლად, უმოწყალოდ სცემეს აქციის თითქმის ყველა მონაწილეს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, ასევე სახალხო დამცველის მიერ აღიარებულ იქნა, რომ პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა. თვითმხილველთა განცხადებებით და მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გამოიყენა დროის უმოკლეს მონაკვეთში სპეციალური დანიშნულების რაზმმა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი და მხუთავი გაზი, რეზინის ტყვიები და ბოლოს, როგორ უმოწყალოდ უსწორდებოდნენ უკვე დაპატიმრებულ, ძირს დაგდებულ ხელ-ფეხ შეკრულ ადამიანებს. აღნიშნულმა სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციამ გამოიწვია ათასობით ჩვენი თანამემამულის მოწამვლა, ადამიანებმა მიიღეს მრავლობითი ხარისხის უმძიმესი დაზიანებები და რაც ყველაზე გულსატკენია, არის მსხვერპლი. მწუხარებით თანავუგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს და მჯერა, რომ ქართული საზოგადოებრიობა, დამოუკიდებელი მედიასაშუალებები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ობიექტურად გამოიძიებენ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, ქართველი სამართალდამცავები სხვადასხვა საბაბითა და პროვოცირებით აკავებდნენ ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, მასობრივად ხდებოდა გაუგებარი მიზეზებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევა. ჩემთვის — სპორტსმენისათვის, სავსებით აპოლიტიკური ადამიანისათვის მიუღებელია, როგორც ხელისუფლების შეცვლა ძალადობრივი გზით, ასევე ხელისუფლების მიერ ძალაუფლების შენარჩუნება ყველანაირი დაუშვებელი მეთოდით. არ შეიძლება ოცდამეერთე საუკუნის საქართველო ერთ ნაბიჯს ევროკავშირისკენ დგამდეს და ორი ნაბიჯით უკან მიდიოდეს ავტოკრატიისა და დიქტატურისაკენ. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფო მოხელენი არიან ხალხის მიერ დაქირავებულნი. სამართალდამცავებსაც ჩვენივე აკრეფილი გადასახადებიდან აქვთ ხელფასები. მე, ერთი რიგითი ქართველი, მივმართავ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს, საქართველოს მეგობარ ქვეყანათა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ვთხოვ, რომ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით დააყენონ საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრისას საკითხი, რათა გამოიძიონ ობიექტურად 26 მაისის ტრაგედიის დამნაშავეთა ვინაობა და ხელი შეუშალონ მასობრივ რეპრესიებს, რაც საქართველოს დემოკრატიულ იმიჯს აშკარად ჩრდილს აყენებს. აქვე გამოვთქვამ სურვილს, რომ საქართველოს ხელისუფლებას და სამართალდამცავ ორგანოებს ეყოფათ გონიერება და აღნიშნული სისხლიანი აქცია აღარასოდეს განმეორდება, ისევე, როგორც არ განმეორდება მასობრივი დაპატიმრება, — წერდა კალაძე.

სისხლიანი დარბევა ჯერ აღარ განმეორებულა. სამაგიეროდ მასობრივი დაპატიმრებები დღემდე გრძელდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს არც მომავალშიც გაგრძელდება.

ზოგიერთი ოპოზიციონერი მაისის დასაწყისში შიშობდა, რომ ხელისუფლება კახა კალაძეს დააპატიმრებდა.

ამაზე ხელისუფლება ალბათ არ წავა. თუნდაც იმიტომ, რომ ამას დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება. ეს კი ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად არაფერში აწყობს. თუმცა, თუ საქმე-საქმეზე მიდგა, არც საერთაშორისო სკანდალს მოერიდებიან. თუმცა დაპატიმრებამდე საქმე ნამდვილად არ მივა, აი რაღაცეებს კი წაართმევენ ნაკრების კაპიტანს.

საერთაშორისო რეზონანსი ამასაც მოჰყვება. თუმცა ნაკლები, ვიდრე კალაძის დაკავების შემთხვევაში იქნებოდა.

ისე ალბათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, კალაძე და სააკაშვილი თუ ასე დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ნაკრების კაპიტანი სააკაშვილს გვერდით მაშინ დაუდგა, როცა ის ოპოზიციაში იყო.

ალბათ გახსოვთ ის დრო, როცა მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავკაცი იყო. ქალაქის თავის რანგში მან დიდი საახალწლო ნაძვის ხე მოაწყო. საჩუქრები ცნობილმა ადამიანებმა დაკიდეს. ნაძვის ხეზე თავის მაისური კალაძემაც დაკიდა.

ამის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ნაკრების კაპიტანი და ნაციონალები კარგად იყვნენ. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ კალაძეს თავი კარგად ეგრძნო.

ის კი არა, ერთი პერიოდი კალაძე სააკაშვილის შემცვლელადაც კი მოიაზრებოდა. რამდენიმე წლის წინ ფეხბურთელმა გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკაში წავიდოდა. მინიშნებებიც გააკეთა, რომ შეიძლება პრეზიდენტადაც ეყარა კენჭი. მაშინ ის ნაციონალების ფანი იყო და ეგრევე სააკაშვილის მემკვიდრედ მონათლეს.

## მაღალი ტემპერატურა კვლავ შენარჩუნდება

ძლიერი სიცხეები მთელი ქვეყნის მასშტაბით თვის ბოლომდე შენარჩუნდება.

როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, ამ სეზონზე ყველაზე მაღალი ტემპერატურა ზუგდიდსა და ამბროლაურში დაფიქსირდა 39 გრადუსი.

თბილისში კი ამ სეზონზე ყველაზე ძლიერი სიცხე ბოლო ორი დღის განმავლობაში იყო, ტემპერატურამ 36 გრადუსს მიაღწია.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში მომდევნო დღეებში ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით დაიწევს, აღმოსავლეთ საქართველოში კი, პირიქით — რამდენიმე გრადუსით აიწევს.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, მაღალი ტემპერატურა ამ სეზონისათვის დამახასიათებელია და ანომალიას არ წარმოადგენს.

მედიანიუსი

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო წვრთნები დაიწყო

ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზაზე, რუსული არმიის წარმომადგენელთა, სამხედრო-ტაქტიკური წვრთნები დაიწყო. აღნიშნულის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება.

სამხედრო წვრთნები ხუთ დღეს გაგრძელდება და მას რუსი პოლკოვნიკი ანდრეი სავჩენკო უხელმძღვანელებს.

წვრთნების პირობები მაქსიმალურად მიუახლოვდება საბრძოლო პირობებს.

განსაკუთრებით დიდი ყურადრება მოტომსროლელ ბრიგადებზე გამახვილდება.

სწავლებაში 80 ერთეულზე მეტი საბრძოლო ტექნიკა და 300 ადამიანი მონაწილეობს.

მედიანიუსი

## ანდერს ბრეივიკი დანაშაულის ჩადენის დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა

ნორვეგიაში მომხდარ მასობრივ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ანდერს ბრეივიკი დანაშაულის ჩადენის დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მისმა ადვოკატმა გეირ ლაიპსტადმა განაცხადა. მისი თქმით, ბრეივიკმა დაადასტურა, რომ ტერაქტების განხორციელებაში ორი ტერორისტული ქსელი ეხმარებოდა, რომელთა უკან სხვა ქსელებიც იდგნენ.

ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტი თავს „ძალიან გადაღლილად“ გრძნობს.

— მისი ხასიათის გადმოცემა ძალიან რთულია, ის არავის ჰგავს. მას ახლაც ჰგონია, რომ საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფება იგი მიიჩნევს, რომ ომს აწარმოებს, — განაცხადა ადვოკატმა.

მასობრივ მკვლელობაში ეჭვმიტანილის მამის, იენს ბრეივიკის განცხადებით კი, მისი შვილი ფსიქიკურადაა დაავადებული.

— სხვანაირად მისი საქციელის ახსნა შეუძლებელია, ნორმალური ადამიანი ამას არასდროს გააკეთებდა. ვისურვებდი რომ ანდერსს 76 ადამიანის მკვლელობის ნაცვლად, თავი მოეკლა, — განაცხადა ბრეივიკ უფროსმა, რომელსაც ცოლთან გაყრის შემდეგ თავის შვილი (ანდერს ბრეივიკი) 16 წლის შემდეგ აღარ უნახავს.

მედიანიუსი

## ბინების ძარცვაში ბრალდებული დააკავეს

თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 37 წლის იოსებ მარლიშვილი, რომელიც ბრალდებულია ბინების ძარცვაში.

გამოძიების მსვლელობისას გაქურდული საცხოვრებელი ბინებიდან აღებული იქნა სუნის ნიმუშები, რის შედეგადაც საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში დაინიშნა ოდოროლოგიური ექპერტიზა და დადგინდა, რომ ბრალდებულ იოსებ მარლიშვილს ა?წ იანვრიდან ივლისის ჩათვლით ქ.თბილისში გაქურდული აქვს ათამდე საცხოვრებელი ბინა.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიებას აწარმოებს ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის მთავარი სამმართველო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# არ გადაიხადოთ სააკაშვილ-უგულავას ტარიფი!

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებას — მიკროავტობუსებზე მგზავრობის 80 თეთრამდე გაძვირებას — კიდევ ერთხელ აპროტესტებენ და მოსახლეობას მოუწოდებენ, არ გადაიხადონ უკანონოდ გაძვირებული მგზავრობის საფასური.

მსგავსი შინაარსის განცხადებები გუშინ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გააკეთა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ მათ მიერ გაზრდილი გადასახადის გადახდით სააკაშვილი-უგულავა და ბიზნესმენი შარანგია მდიდრდებიან.

— ლეიბორისტული პარტია აგრძელებს ბოიკოტს და მოუწოდებს თბილისელებს, გამოუცხადონ სრული ბოიკოტი სააკაშვილ-უგულავას გამდიდრებლად დაწესებულ 80-თეთრიან სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ტარიფს. ეს ბოიკოტი დღეს დედაქალაქში უკვე მუშაობს. მინდა ვუთხრა თითოეულ თბილისელსა და მის სტუმარს, რომელიც შემოუერთდა ამ ბოიკოტს, არ გადაიხადონ გაძვირებული ტარიფი. ამ ბოიკოტის შედეგად რიგ სამარშრუტო ხაზებზე უკვე დაიწია მგზავრობის ტარიფმა და 60 თეთრი გახდა, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ და მოსახლეობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

— მოვუწოდებ იმ თბილისელებს, რომლებიც რაღაც მიზეზთა გამო გაძვირებულ ტარიფს მაინც იხდიან, არ გადაიხადონ ეს ყაჩაღურად გაზრდილი სააკაშვილ-უგულავას ტარიფი და ისევ ძველი ოდენობა, 50 თეთრი გადაიხადონ, — განაცხადა პაატა ჯიბლაძემ. მისი თქმით, მსგავსი საპროტესტო აქცია გაძვირებული მგზავრობის საფასურის გაუქმების მოთხოვნით თბილისის არაერთ უბანში იმართება.



როგორც პრესკონფერენცია-აქციაზე ითქვა, ამ ბრძოლას ლეიბორისტული პარტია კვლავ გააგრძელებს და, თუ ხელისუფლება ნათელაშვილის თანაგუნდელთა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და მგზავრობის გაზრდილ საფასურს არ გააუქმებს, ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას სიურპრიზს მოუწყობს.

— ეს სპეციალური ღონისძიება პირდაპირ დაარტყამს არა მარტო შარანგიას ბიზნეს-ინტერესებს მოსკოვში, არამედ უშუალოდ სააკაშვილისა და უგულავას ფინანსურ ინტერესებსაც, რომელიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმიტომ იქნა მიღებული ტარიფის გაზრდის ეს გადაწყვეტილება, რომ მხოლოდ მათი ჯიბეები გავსებულიყო, მათი ოჯახების ანგარიშებზე მილიონები დარიცხულიყო; თითოეული თბილისელისა თუ დედაქალაქის სტუმრის ხარჯზე მათ მილიონები ჩაერიცხათ თავიანთ ანგარიშებზე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ბანკში აქვთ გახსნილი, — აღნიშნა ჯიბლაძემ.

# ასლან აბაშიძის „ქისა“ სააკაშვილს აფინანსებს

ქეთი ხომერიკი

„თავისუფალი საქართველოს“ რეგიონული მდივნის, გამგეობის წევრის გია ყრუაშვილის თქმით, ბათუმი შენდება თუ ინგრევა, სულ მალე გამოჩნდება. ყრუაშვილის მტკიცებით, ბათუმში ყველა პრესტიჟულ ადგილას მდებარე შენობები უნდა დაინგრეს და იქ მხოლოდ სასტუმროები უნდა აშენდეს, ამ ადგილებში მცხოვრებ ბათუმელებს კი იქაურობის, თავიანთი სახლ-კარის დაცლა-დატოვება ემუქრებათ. „როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი გამოირჩევა უცაბედი და არაგონივრული გადაწყვეტილებების მიღებით, რაც ქვეყნის ინტერესებში ნამდვილად არ შედის. მაგალითის მოყვანა მრავლადაა შესაძლებელი, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე კონკრეტული ქალაქების მიხედვით. ამ შემთხვევაში ყურადღებას შევაჩერებ ქალაქ ბათუმზე.



ერთი შეხედვით ბათუმი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი სილამაზით გამორჩეული ქალაქი, კიდევ უფრო ლამაზდება, მაგრამ რის ფასად ხდება ეს იაფფასიანი ფასადების თუ ფანტანების გაკეთება, საკითხავი სწორედ ეს არის, — აცხადებს ყრუაშვილი. მისი მტკიცებით, ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს არა განათლება, არა კულტურა, არა ჯანდაცვა, არამედ ცალკეული ნაციონალი ბიზნესმენების კონკრეტული ინტერესები, რომლებიც საბოლოო ჯამში ემსახურება ნაციონალური მოძრაობის პირველი პირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

— როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბათუმის ცენტრში მდებარე კინოთეატრი „თბილისი“□საეჭვო ვითარებაში, საეჭვო ფასად გადაეცა პრეზიდენტის ერთ-ერთ დამფინანსებელს ბათუმში თენგიზ ბაკურიძეს. ეს სწორედ ის ბიზნესმენია, რომელიც არჩევნების დროს ჯერ აბაშიძის ჯიბის ქისას□წარმოადგენდა, რომელმაც მანამდე მოასწრო ბათუმის ცირკის ხელში ჩაგდება, ხოლო აბაშიძის გაძევების შემდეგ სწრაფად შეძლო სააკაშვილის კეთილგანწყობის მოპოვება, რომელიც სამწუხაროდ, ბათუმელებს დაუჯდათ კინოთეატრის დაკარგვის ფასად. სხვათა შორის, ერთადერთი იყო ბათუმში, — აცხადებს ყრუაშვილი. ყრუაშვილის თქმით, მათთვის ასევე გახდა ცნობილი, რომ ბათუმში მიიღეს გადაწყვეტილება, მოხდეს 1-ელი საავადმყოფოს დემონტაჟი და მის ადგილზე აშენდეს პრეზიდენტის რეზიდენცია. მისივე აზრით, ეს ემსახურება არა ხალხის ინტერესებს, არამედ პირადად პრეზიდენტის ოჯახის ინტერესებს.

— ასევე აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქ ბიზნესმენებთან ბათუმის უნივერსიტეტის შენობათა მთელი კომპლექსის გადაცემაზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მდებარეობს რუსთაველის ქუჩაზე. ამ შემთხვევაშიც ძნელად სავარაუდოა, რომ პრეზიდენტის მოტივაცია იყოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ვფიქრობ და ამას იზიარებს ბათუმში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს ყველაფერს, რათა მოახდინოს საკუთარი ქონების ზრდა, მაშინაც კი, თუ ეს არ შედის ქვეყნის ინტერესებში, — განაცხადა ყრუაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას.

## დადგა დრო, პოლონეთისა და საქართველოს მეგობრობა ახალ ეტაპზე გადავიდეს

პოლონეთის პრეზიდენტის ბრონისლავ კომოროვსკის განცხადებით, „პოლონეთი საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს“.

ამის შესახებ პოლონეთის პრეზიდენტმა ბათუმში ქართველ კოლეგა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

სააკაშვილმა პოლონელ სტუმარს შეხვედრის შემდეგ საქართველოს შესახებ პოლონეთში გამოცემული წიგნი „გაუმარჯოს“ აჩუქა.

კომოროვსკიმ, თავის მხრივ, პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის მეგობრულ და თბილ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

— ხელს შევუწყობთ საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას, საქართველოს რეკომენდაციებსაც მივაწვდით. თანამშრომლობა ყველა სფეროში უნდა გავძლიეროთ, განსაკუთრებით — ეკონომიკის კუთხით. საქართველოში ინვესტორები უნდა ჩამოვიდნენ და ინვესტიციები განახორციელონ. ჩვენი კარი ასევე ღიაა ქართველი ინვესტორებისთვის. საქართველოს განვითარების სწორი გზა აქვს არჩეული და დადგა დრო, რომ ორი ქვეყნის მეგობრობა ახალ ეტაპზე გადავიდეს, — განაცხადა კომოროვსკიმ.

გუშინვე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

პირველი

## მიხეილ სააკაშვილი ბელორუსს კიდევ ერთხელ ექომაგება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბელორუსთან მიმართებაში იზოლაციის პოლიტიკის წარმოება იმის შანსს ზრდის, რომ ბელორუსი რუსეთის მთავრობის სრულ კონტროლქვეშ მოექცეს.

ეს მოსაზრება პრეზიდენტმა ამჯერად ბათუმში, პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოთქვა.

— ბელორუსთან დაკავშირებით პოლონეთის პრეზიდენტსაც ვესაუბრე. ჩვენ გვესმის, რა პრობლემებიც არსებობს ბელორუსში. იმის მტკიცება, რომ რუსეთი ბელორუსზე დემოკრატიული ქვეყანაა, აბსურდია. ბელორუსი, რუსეთისგან განსხვავებით, მისი მეზობელი ქვეყნის ოკუპაციას არ ახორციელებს და მასთან მიმართებაში იზოლაციის პოლიტიკის წარმოება, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, ზრდის შანსს იმისა, რომ ბელორუსი რუსეთის მთავრობის სრულ კონტროლქვეშ მოექცეს და სუვერენიტეტი დაკარგოს, რაც მთელი რეგიონისთვის ძალიან ცუდი იქნება, რადგან ეს ძალიან ნიჭიერი ერია, — განაცხადა პრეზიდენტმა და აქვე აღნიშნა, რომ ყველა იმ საკითხზე, რომელიც შეშფოთებას იწვევს, როგორც არასდროს, დიალოგის წარმოებაა აუცილებელი.

პირველი

## ზაზა გაბუნია მერიას 160 ათასი ლარის არაეფექტურად ხარჯვაში ადანაშაულებს

თბილისის საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატი“ წევრის ზაზა გაბუნიას განცხადებით, ქვეწარმავლების დაჭერისა და მათი დაუსახლებელ ადგილებში გადაყვანისთვის თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი 160 ათასი ლარი არაეფექტურად იხარჯება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, თბილისის საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატმა“ წევრმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, 2011 წლის აპრილის თვეში ქალაქის მერიამ ტენდერი ჩაატარა, რომელშიც ორგანიზაციამ „კობრა-კობრა“ გაიმარჯვა. გაბუნიას განცხადებით, აღნიშნულმა ორგანიზაციამ ტენდერის პირობების შესაბამისად თბილისის საზღვრებში ქვეწარმავლების დასაფრთხობად ქიმიური რეპელენტით ტერიტორიების დამუშავებისა და დაუსახლებელ ადგილებში გადაყვანის ვალდებულება აიღო, რისთვისაც თბილისის მერიამ 160 ათასი ლარი გამოყო.

ზაზა გაბუნიამ ჟურნალისტებს ჩატარებული ტენდერის შესახებ დოკუმენტაციაც წარუდგინა, სადაც აღნიშნულია გამარჯვებული ორგანიზაციის ვალდებულებები და სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

— იმის მიუხედავად, რომ ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხმა გამოიყო ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, სახეზე არ არის ამ ბრძოლის შედეგები და მოსახლეობას თავად უწევს სხვადასხვა წარმოშობის ქვეწარმავლებთან ბრძოლა, — აღნიშნა გაბუნიამ.

მისი თქმით, ისინი დაუკავშირდნენ ირგანიზაცია „კობრა-კობრას“, სადაც ვერანაირი სტატისტიკა ვერ წარმოადგინეს, თუ რა რაოდენობის ქვეწარმავალი დაიჭირეს და გადაიყვანეს დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ან საერთოდ რა სამუშაოები განახორციელეს.

გაბუნიას განცხადებით, თბილისის მერიამ უყურადღებოდ დატოვა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის საქმიანობა, რის შედეგადაც ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ, დიდი რაოდენობის თანხა, პრაქტიკულად ფუჭად და არაეფექტურად გამოიყენა.

ზაზა გაბუნიას აღნიშნულ განცხადებას, თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი ხვიჩა სანაია გამოეხმაურა. მისი თქმით, თბილისის მერიამ ქვეწრმავლების გამოვლენის შემთხვევების მატების გამო, ტენდერი ხელმეორედ გამოაცხადა, რომელშიც კომპანია „ქლინერმა“ გაიმარჯვა.

— როგორც მერიის, ასევე აღნიშნული ორგანიზაციის ცხელ ხაზზე შემოსულია დაახლოებით 350 ზარი. რაზეც უკვე მოხდა ოპერატიული რეაგირება. 145 შემთხვევაში დაიჭირეს ქვეწარმავალი, — აღნიშნა სანაიამ.

მისი თქმით, ყველას შეუძლია შეამოწმოს თუ რამდენად კმაყოფილია აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობით მოსახლეობა.

სანაიას განცხადებით, ქვეწარმავლების დაჭერას და დაუსახლებელ ადგილებზე გადაყვანას ორი კომპანი „კობრა-კობრა“ და „ქლინერი“ განახორციელებს.

მედიანიუსი

## „წინააღმდეგობის მოძრაობა“ დევნილთა სამინისტროს სიცრუეში ადანაშაულებს

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ დევნილთა სამინისტროს სიცრუეში ადანაშაულებს.

მოძრაობის დევნილთა ომბუდსმენი მაია ხარაძე ეხმაურება სამინისტროს პრესსამსახურის დღევანდელ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, დევნილებს, ვისაც არაფერი გააჩნიათ, თანხმდებიან და იღებენ ბინებს მთავრობისგან და ვისაც არ სჭირდება, ისინი ბუნებრივია უარს აცხადებენ.

დევნილთა სამინისტრო კვლავ აგრძელებს ტყუილის ტირაჟირებას და ცინიკურ განცხადებებს, რეალურად კი სხვადასხვა კომპაქტური ჩასახლებებიდან იძულებით გამოსახლებული დევნილები, თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად, კვლავ არიან ნათესავებთან და ახლობლებთან შეკედლებულნი. მათი ყოველი მცდელობა, გამართონ ინდივიდუალური შეხვედრები მინისტრთან და წაუყენონ თავიანთი სამართლიანი მოთხოვნები, ყოველთვის იგნორირებულია. თუ ყველაფერი კარგად არის და დევნილები კანონის შესაბამისად დაკმაყოფილებულნი არიან, მაშინ რატომ ტარდება დედაქალაქში პერმანენტული საპროტესტო აქციები, რატომ არ ითვალისწინებს დევნილთა სამინისტრო ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციებს?„ აცხადებს ხარაძე.

დევნილთა სამინისტრომ გუშინ „ინტერპრესნიუსის“ წერილობით შეკითხვებს უპასუხა, რომლის მიხედვითაც დევნილებისათვის ფართების გადაცემის პროცესი დასრულდა. სამინისტროს პრესსამსახურში აღნიშნეს, რომ ის დევნილები დათანხმდნენ ფართებს, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ, ხოლო მათ, ვისაც არ სჭირდებოდათ, უარი განაცხადეს.

ინტერპრესნიუსი

## სამეგრელოს რეგიონში სოციალური ვაუჩერები არ დარიგებულა

სოციალური ვაუჩერები, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ყველა ოჯახი, ისეთივე ბლეფი აღმოჩნდა, როგორც სხვა დანარჩენი კარგად გაპიარებული სამთავრობო პროექტები, — აცხადებს პარტია „თავისუფალი საქართველო“. პარტიის ინფორმაციით, წალენჯიხის რაიონის სოფელი ლიიის მოსახლეობის დიდ ნაწილს ვაუჩერები დღემდე არ მიუღია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ვაუჩერები არც სხვა სოფლებში დაურიგებიათ. მოსახლეობა ამ უკანონობაში წალენჯიხის გამგებელს მამუკა ქარდავას და სოფელ ლიის გამგებელს, ვახო კვირკველიას ადანაშაულებს.

სოფელ ლიის მცხოვრებნი ამბობენ, რომ ,,ვარდების რევოლუციის„ დროს სამეგრელოს რეგიონი დიდი პოლიტიკური აქტივობით გამოირჩეოდა. როცა მათ ჭირდებოდათ, გამოგვიყენეს, ხოლო ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სამეგრელოს რეგიონი სულ მიივიწყეს. მეტიც, უფრო უარესად გაპარტახდა სამეგრელო. ჩვენი ხალხი ხელისუფლებას არჩევნებიდან არჩევნებამდე სჭირდება და ახლა 20-ლარიანი და 30-ლარიანი სოციალური ვაუჩერის მოლოდინში ვართ, მთელი წელია - აცხადებენ სოფელ ლიის მცხოვრებლები. ფაქტია, რომ სამეგრელოში ვაუჩერების დარიგების პროექტი ჩავარდა და მოსახელეობა ისედაც მიზერული დახმარების გარეშე დარჩა.

მედიანიუსი

## აფხაზეთის ე.წ.საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კანდიდატებს ნომრები მიენიჭათ

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ე.წ.ცესკომ პრეზიდენტობის კანდიდატებს საარჩევნო ნომრები მიანიჭა. აფხაზური მედიის ცნობით, ალექსანდრე ანქვაბმა №1, რაულ ხაჯინბამ №2, სერგეი შამბამ №3, ხოლო ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა ანქვაბის გუნდიდან მიხეილ ლოგუამ №4 მიიღეს. ისინი საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ამ ნომრებით მიიღებენ მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ე.წ.საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს გაიმართება.

მედიანიუსი

## აფხაზეთის ე.წ. მმართველი პარტია არჩევნებზე ანქვაბს უჭერს მხარს

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. მმართველი პარტია ერთიანი აფხაზეთი„26 აგვისტოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ალექსანდრე ანქვაბს დაუჭერს მხარს. სააგენტო „აფსნიპრესის“ ცნობით, სეპარატისტული რეგიონის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბატალ ტაბაღუამ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის დროს შვებულებაში მოუწევთ გასვლა.ანქვაბის შვებულებაში გასვლის შემდეგ სახელწიფოს მეთაურის მოვალეობებს პარლამენტის ე.წ. სპიკერი ნუგზარ აშუბა შეასრულებს.

პრაიმ-ნიუსი

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის ძალის ეშინია

## საკაშვილის რეჟიმის „გაპრავება“ აღარ უნდა მოხდეს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, წინააღმდეგობის მოძრაობამ გადაწყვიტა, რომ აქციები ყოველ კვირას გამართოს და ხელისუფლებას თავისი მოვალეობები შეახსენოს. ამ აქციებში თქვენც აქტიურად მონაწილეობთ. ძირითადად რა მიზნებს ემსახურება ეს აქციები და რა მოთხოვნები წამოაყენა მოძრაობამ?***

— თავისთავად ეს აქცია იყო მიმართული ყველა იმ ბოლოდროინდელ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ქვეყანაში. მათ შორის 26 მაისი, მათ შორის ფოტორეპორტიორების დაპატიმრება და შემდგომ საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლება და ის, რომ დღემდე ფოტორეპორტიორები, მიუხედავად გათავისუფლებისა, ვერ ბედავენ ისაუბრონ, თუ რა არის ძირითადი და რეალური მიზეზი მათი დაპატიმრების. ბუნებრივია, საზოგადოებაში ჩნდება უიმედობის განცდა. ჯერ ის, რომ ხელისუფლებამ საკუთარი ფოტორეპორტიორებიც კი დააპატიმრა, როდესაც მათ გადაუხვიეს ხელისუფლების ნებას და ისინიც აღმოაჩინა გისოსებს მიღმა, ხოლო მათი გათავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას მერე, როდესაც მათ აღიარებინეს ჩაუდენელი დანაშაული და გამოუშვეს საპროცესო შეთანხმებით. ეს არის პირველი საპროცესო შეთანხმება, რომელიც კი მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ფული არ გადახდილა და ისე უშვებენ, თანაც ასეთ დანაშაულზე — ე.წ. „დამნაშავეებს“. თუმცა ცხადია, რომ მათ არანაირი დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი. ისინი გახადეს იძულებული, რომ ბრალის აღიარებით გამოსულიყვნენ გარეთ. ეს აქცია მიზნად ისახავდა იმას, რომ საზოგადოებისთვის გვეთქვა, ჩვენ არაფრის გვეშინია. ხელისუფლება ამ ნაბიჯებს დგამს სწორედ იმიტომ, რომ ხალხი იყოს შეშინებული, ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდეს, ვერ გამოხატავდეს თავის პროტესტს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ რამეს იტყვის, მას დაემუქრება ისეთი საფრთხე, როგორიც ამ ადამიანებს დაემუქრათ. ეს აქციაც სწორედ ამისკენ იყო მიმართული, რომ ჩვენ გამოვალთ, გამოვალთ ყოველთვის, გავაპროტესტებთ ყველაფერს, რასაც ხელისუფლება ჩაიდენს და ასეთი უამრავია. ამას არ სჭირდება დიდი მოძიება, ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით უსამართლობას, უკანონობას, ძალადობას, ღირსების შელახვას, ცემას, წამებას, უკანონოდ ადამიანების დაპატიმრებას, პოლიტპატიმრების არგათავისუფლებას, ანუ მოთხოვნები არის იმდენი, რომ ყოველ კვირა კი არა, ყოველდღე რომ ვატაროთ აქციები, მაინც ვერ ამოვწურავთ იმ პროტესტს, რომელიც საზოგადოებაშია დაგროვილი როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შელახვის, ასევე სოციალური კუთხით. თქვენ იცით, რომ ამ აქციას შემოუერთდნენ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, რომლებიც აპროტესტებდნენ სამარშრუტო ტაქსებზე ფასის 80 თეთრამდე გაზრდილ ტარიფს. ბუნებრივია, ჩვენი მოსახლეობა გადახდისუუნაროა, გამომდინარე იმ ეკონომიკური მდგომარეობიდან, რომელიც ისევ ხელისუფლებამ შეუქმნა ხალხს და ამ ფონზე პირველადი მოხმარების ტრანსპორტის ასეთი გაძვირება, ბუნებრივია, ადამიანებს უზღუდავს გადაადგილების საშუალებასაც კი.

***— საქმე ის არის, რამდენად გაიზიარებს და ყურად იღებს ამ ყველაფერს ჩვენი ხელისუფლება...***

— ხელისუფლება იზიარებს და ყურად იღებს ერთადერთ რამეს — ეს არის ხალხის ძალა, ხალხის ძალის დემონსტრირება. სწორედ ამისკენ არის მიმართული ეს ქმედებები, რომ ხალხის ძალის დემონსტრირება უნდა მოხდეს. თუ ხალხმა გაითავისა, გაიგო და შეიგნო, რომ მათი გადარჩენის გზა მხოლოდ მათშივეა და არა სადღაც სხვაგან, ამ შემთხვევაში ხელისუფლება ნამდვილად შეისმენს. მთავარია, ხალხმა შეიგრძნოს ის, რომ მათ ხელში უკავიათ სწორედ ის ძალა, რომელი ძალითაც შესაძლებელია ამ ხელისუფლების შეცვლა და ამ ხელისუფლების გონზე მოყვანა. აქედან გამომდინარე, ეს აქციები აქეთკენ არის მიმართული, რომ საზოგადოებას დავანახვოთ, გვჭირდება გაერთიანება, გამრავლება, დაინახოს ხელისუფლებამ, რომ ბევრნი ვართ და გავხდით ანგარიშგასაწევი ძალა.

***— საკრებულოში უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ ისინი სამარშრუტო ტაქსების ტარიფის გადახედვას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ...***

— რა თქმა უნდა, ამათ ხომ არ ახასიათებთ თითქოსდა უკანდახევა და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხელისუფლების მადა უაზროდ იზრდება, ყოველწლიურად ახალ-ახალი გემოვნებები ეხსნებათ და ბიუჯეტი კი ყოველწლიურად მცირდება, რადგან ბიზნესი გაუბედურებული, დარეკეტებული და დაშინებულია, თუ ვინმეს რაიმე ძველი ქონება ჰქონდა შემონახული, ის უკვე დიდი ხნის წინ მიატანინეს და ხელისუფლებას კარგა ხნის შეჭმული აქვს ეს თანხებიც, ახალი ამოღება, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ლამის ჰაერი დაუბეგრონ და ჰაერის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაში ფული ახდევინონ. ყველაფრის ფასი გააორმაგეს, თუნდაც ნაგვის გადასახადი, რომელიც აბსოლუტურად ალოგიკურად მიაბეს ელექტროენერგიის გადასახადს, იმიტომ რომ არ ეთქვათ, ნაგვის გადასახადს ვზრდითო. რის გამო ზრდიან, რა მანქანები გამოცვალეს, ხელფასები გაზარდეს, ნაგვის რაოდენობა გაიზარდა თუ რატომ უნდა გაზრდილიყო ნაგვის ფასი? ამას ვერ ექნებოდა ვერანაირი ახსნა, ამიტომ მიაბეს ელექტროენერგიას და ამით გაასამმაგეს და გაახუთმაგეს ნაგვის საფასური. აი, ამ ფასების გაზრდასაც გარკვეული ზღვარი აქვს, იმიტომ რომ, როდესაც ადამიანების დიდი რაოდენობა ამას მართლა ველარ შეძლებს და მე მგონია, რომ ჩვენ ამ ზღვარს უკვე ძალიან მივუახლოვდით, თუ



მისულები არა ვართ, მერე უკვე გაჩნდება ის სოციალური პროტესტიც, რომელსაც ველარაფერი შეაჩერებს.

***— კარგად აქვს დაცდილი ხელისუფლებას, ყოველთვის ზაფხულის პერიოდს ირჩევს ამ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მისაღებად, ცდილობს, ყველაფერი მაშინ მოასწროს, როცა ნაკლებია საზოგადოების აქტივობა...***

— კი, შესაძლებელია, ამას აკეთებს, მაგრამ ფასის ზრდა ის ნაბიჯია ხელისუფლებისა, რომელიც შეიძლება ახლა ხალხი გასულია და ნაკლებად აქტიურია, მაგრამ ჯიბეს ურტყამს ეს პრობლემა აქტიურად და, როცა არ უნდა დაბრუნდეს ხალხი, ამაზე ქუჩაში ყოველთვის გამოვა.

***— ამბობენ, რომ შემოდგომა გარდამტეხი პერიოდი უნდა იყოს. თქვენ როგორ ფიქრობთ, იქნება ასე?***

— კი, მოვლენები ძალიან მწიფდება ამისკენ. თუნდაც ხელისუფლებისგან ასეთი არაპოპულარული, არაადეკვატური ნაბიჯების გადადგმა თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ შიგნითაც რაღაც სერიოზული დაპირისპირებებია. დღეს პრესაშიც გაიჟღერა ამ ფაქტმა. აბა, დაფიქრდით, დააპატიმრეს ფოტორეპორტიორები, რომლებიც ხელისუფლების მთელ საიდუმლოებებსა თუ საჯარო ქმედებებს იღებენ. თუნდაც 26 მაისი, თუნდაც აუზზე მომხდარი ინციდენტი, ქობალიას ტვინის შერყევისა, ცემისა და მერე მისი მშობლების ინტერვიუც გეცოდინებათ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ფაქტობრივად, ეს უკვე ის საქმეა, ამ ფოტორეპორტიორების საქმე, რომ მხოლოდ ამ ფოტორეპორტიორების წინააღმდეგ კი აღარ იქნება ეს გამოყენებული, ეს ძალიან მარტივადაა შესაძლებელი, რომ თვითონ მიშა სააკაშვილის წინააღმდეგაც იყოს გამოყენებული. შეიძლება, საჯარო არ გახდა, მაგრამ იქ ხომ რეალურად დააწერინეს ამ ხალხს ის, რის გამოც ეს ხალხი იყო დაკავებული. მათ ხომ მართლა ჯაშუშობას არ სდებდნენ ბრალად. მათ ბრალად სდებდნენ იმ ფოტოების გადაღებას, რომლებიც სააკაშვილისთვის იყო პრობლემური იმ ეტაპზე, მაგრამ ვინ და როდის გამოიყენებს ზუსტად ამ ფოტორეპორტიორების ჩვენებებს სააკაშვილისა თუ სხვების წინააღმდეგ, ეს კიდევ საკითხავია.

***— ითქვა, ისიც რომ ფოტორეპორტიორების საქმეზე სააკაშვილი საკუთარი გუნდის წევრებმა წამოაგეს ანკესზე...***

— წამოაგეს თუ არ წამოაგეს, ეს არის საქმე, რომელიც თაროზე დევს და რომელიც ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია იქნეს გამოყენებული, ანუ თუ ეს ხელისუფლება ადრე ჩვეულებრივი მოქალაქეების წინააღმდეგ აგროვებდა კომპრომატებს იმავე ელჩებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომ მერე ეს ადამიანები ჰყოლოდათ მართვადი, დღეს იმავეს ერთმანეთის წინააღმდეგ აკეთებენ. ეს არის ფაქტი და რეპორტიორების თემა ამისი ნათელი მაგალითია. დღეს არის ეს ის საქმე, რომელიც არის კომპრომატი ხელისუფლების შიგნით. ვის წინააღმდეგ გამოიყენებენ ამ საქმეს და რა დროს, კაცმა არ იცის.

***— მაინც რას ფიქრობთ, რატომ გამოუშვეს ეს ბიჭები ასე უცებ და თანაც არც თანხა გადაახდევინეს, როგორც თქვენ აღნიშნეთ? რა მოხდა, არ ელოდნენ, რომ ვითარება ასე გამწვავდებოდა თუ, უბრალოდ, თავიანთი საქმე გააკეთეს და გამოუშვეს...***

— მიზანი იყო მიღწეული, ანუ მათ უნდოდათ, ერთი მხრივ, დუმილი ამ ფოტორეპორტიორების. მათი მიზანი ხომ არ იყო, რომ მართლაც მსოფლიოში უპრეცედენტო რამე გაეკეთებინათ და ფოტორეპორტიორები რაღაც სულელური ბრალდებით მართლაც ციხეში გაეშვათ. მათი მიზანი იყო ამ ფოტორეპორტიორების გაჩუმება, ამ გადაღებული მასალის ამოღება, განადგურება თუ დაკონსერვება, ყოველ შემთხვევაში, ის, რომ ეს მასალა არ გამხდარიყო ფართო მასებისთვის ცნობილი და ეს ორივე გაკეთდა. ფოტორეპორტიორები დააშინეს, ისინი ხმას ვერ იღებენ. მათი მასალებიც ამოიღეს, სავარაუდოდ და ამიტომაც აღარ ხედავდნენ პრობლემას მათ გამოშვებაში. ეს განადგურებულია თუ დაკონსერვებულია, აღარავინ იცის, მაგრამ ამოღებულია და, რაც მთავარია, არსებობს საქმე, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, მათ შორის, სააკაშვილის წინააღმდეგ. უკვე აღარანაირი ინტერესი ამ ხალხის ციხეში ყოფნისა არ იყო, იმიტომ რომ ციხეში მათ პატიმრები აალაპარაკებდნენ და მაინც გახდებოდა ცნობილი, თუ რა მოხდა და გარეთ უფრო მეტად არის ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული და დაცული, ვიდრე ციხის შიგნით იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ეს ნაბიჯი ყველანაირად აწყობდა, ერთი მხრივ, დასავლეთს უთხრა, რომ ჩვენ ეს ხალხი გავუშვით.

***— საერთაშორისო ზეწოლაც იყო ამ საქმეზე...***

— კი, ძალიან სერიოზული და ძალიან გაოგნებული იყო მთელი დასავლეთი ხელისუფლების ამ ნაბიჯით, რომ ფოტორეპორტიორებიც კი აღმოჩნდნენ ციხეებში.

***— როგორც ჩანს, ფოტორეპორტიორები საკმაოდ შეშინებულნი არიან, თუმცა, იმედია, მოვა დრო და ისინი მაინც ალაპარაკდებიან...***

— რასაკვირველია, შეშინებულნი არიან. ეს არის შოკის მდგომარეობა, რაც მათ იქ ნახეს და განიცადეს. ბუნებრივია, ეს შოკი გაუვლით ადრე თუ გვიან და მერე ეს ინფორმაციებიც გაჟონავს.

***— ასეთი შეფასებებიც გავრცელდა, რომ ამ ბიჭების დაკავებით რელიგიის თემის გადაფარვა სურდათ...***

— შესაძლოა, ხელისუფლებას ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ, მე მგონია, რომ რელიგიის თემის გადაფარვა ამით ვერ მოხერხდებოდა. ამას თავად საპატრიარქოც არ დატოვებს უყურადღებოდ და თქვენ ნახეთ უკვე საპატრიარქოს განცხადებები, სადაც კიდევ ერთხელ შეახსენა ხელისუფლებას საპატრიარქომ თავისი ვალდებულებები, ისე, რომ ეს არ არის თემა, რომელიც შეიძლება ხვალ თაროზე შემოიდოს და მივიწყებას მიეცეს.

***— ბევრი იწერება იმის შესახებაც, რომ სინოდზე სერიოზული ზეწოლა იყო...***

— მე არ ვიცი, რა იგულისხმება ამ სერიოზულ ზეწოლაში. მე ვფიქრობ, რომ სინოდი მაინც ერთიანია ხელისუფლების ამ პოლიტიკის მიმართ, იმიტომ რომ სინოდში თითოეულმა წევრმა, ხელისუფლების მომხრეა ის თუ არ არის მომხრე, ყველამ იცის, რომ მათი ძალა ეკლესიის სიძლიერეა. თუ შეასუსტა ხელისუფლებამ ეკლესია, თითოეული მათგანი გახდება, რა თქმა უნდა, შემდგომ მსხვერპლი ამ ხელისუფლების. ისე რომ, ამას ყველა ეპისკოპოსი გრძნობს იქ და ამაზე სერიოზული ზეწოლა მათზე არ შეიძლება იყოს, რაც რეალობაა. რეალობა არის ის, რომ თუ არ იქნა ეკლესია ძლიერი, ისინი ვერ იქნებიან ძლიერნი. მათ ინტერესებშიც არის ძლიერი ეკლესია. ეს ის თემაა, რომელიც, ჩემი აზრით, ყველას გააერთიანებს.

***— რამდენად გჯერათ იმ ხმების, რომლებიც გავრცელდა, რომ თითქოს ამ კანონის მიღებით სააკაშვილმა სომხური ლობისგან საკმაოდ სერიოზული თანხა მიიღო და რამდენიმე მილიარდ დოლარზეა საუბარი...***

— ყოველ შემთხვევაში, რომ გამოიკვეთა, ეს არც კათოლიკების, არც ბაპტისტების და არც სხვა რომელიმე კონფესიის მიმართ არ იყო, გარდა გრიგორიანებისა, ეს ფაქტია. რა მიიღო სააკაშვილმა, მხოლოდ სომხური ლობი თუ თანხებიც მოჰყვა ამას, არ ვიცი, მაგრამ სარგებელი რომ სწორედ სომხური ეკლესიისთვის იყო და მხოლოდ მათ გაუკეთა ეს სააკაშვილმა, ესეც ფაქტია.

***— სექტემბრიდან არჩევნების თემაც საკმაოდ აქტუალური ხდება. როგორ ფიქრობთ, რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ ამ კუთხით?***

— მე არ მჯერა, რომ ეს არჩევნები ჩატარდება ისეთი, როგორიც საზოგადოებას უნდა და როგორი მოლოდინებიც არის. დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირი ამ ეტაპზე არ ჩანს. მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ისევ ხელახლა მოხდება სააკაშვილის რეჟიმის „გაპრავება“. მე მგონია, რომ საზოგადოება მაგ დროისათვის თვითონ აღმოჩნდება მზად იმისათვის, რომ არ დაუშვას ისევ ის პროცესები, რომლებიც წინა არჩევნებზე იყო. მე მგონია, რომ საზოგადოების აქტივობა სხვაგვარი იქნება. ისიც მგონია, რომ სააკაშვილის ბედი მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილია. ახლა მთავარია, ვინ იქნება მისი შემცვლელი. სწორედ ამიტომ მის გუნდში სერიოზული დაპირისპირება და ბრძოლა მიდის ძალაუფლებისთვის და ვნახოთ, თუ შიგნით და თუ გარეთ.

### „ურალის ავიახაზები“ მოსკოვი-ქუთაისი-მოსკოვის ავიარეისებს შეასრულებს

საქართველოსა და რუსეთს შორის, ჩარტერული რეისები 6 აგვისტოდან, განახლდება.

როგორც „მედიანიუსს“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან აცნობეს, ჩარტერული რეისები მოსკოვი-ქუთაისი და ქუთაისი-მოსკოვის მიმართულებით იფრენს და მას „ურალის ავიახაზები“ შეასრულებს.ფრენები კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და შაბათობით, განხორციელდება. შეგახსენებთ, რომ პირდაპირი ფრენები რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეწყდა.

მედიანიუსი

### თურქეთში საქართველოს ხუთი მოქალაქეა დაკავებული

თურქეთში, საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ქურდობის ბრალდებით საქართველოს ხუთი მოქალაქეა დაკავებული იუწყება ადგილობრივი მედია. არსებული ინფორმაციით, თურქმა სამართალდამცველებმა ქვეყნის მასშტაბით არალეგალების დასაპატიმრებლად სპეცოპერაცია ჩაატარეს. სულ დაკავებულია 235 ადამიანი, მათ შორის ხუთი ქართველი: ნოდარ თოდუა, ლაშა ვაშაყმაძე, დათო რუხაია, ზვიად გობახიძე და ვალერი ჭაავა.

წყაროს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრიდან ძვირადღირებულ ტანსაცმელს იპარავდნენ.

მედიანიუსი

### „სახალხო კრების“ ცენტრალური ოფისი კვლავ დალუქულია

26 მაისის მოვლენებიდან ორი თვის თავზე თბილისში, ცაგარელის ქუჩა №64-ში მდებარე „სახალხო კრების“ ცენტრალური ოფისი კვლავ დალუქულია. როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, მათ ოფისის დალუქვის მიზეზს დღემდე არ ეუბნებიან.

— მოყოლებული 26 მაისიდან, უკვე ორი თვე გავიდა, თუმცა ოფისი მაინც დალუქულია. ძალიან მაინტერესებს, რატომაა ოფისი დალუქული? ვინმე გამოვიდეს და განგვიმარტოს, რით ვერ გაჩხრიკეს ეს ოფისი..., — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ ხელისუფლებას „სახალხო კრების“ ოფისის გახსნისაკენ მოუწოდა.

მისი თქმით, „სახალხო კრება“ არ დაშლილა.

— არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „სახალხო კრება“ აქტიური აღარ არის. შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთები, სადაც პერიოდულად იბეჭდება ნონა გაფრინდაშვილის, გია ბურჯანაძის და აღმასრულებელი საბჭოს სხვა წევრების საკმაოდ მწვავე ინტერვიუები, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

### თბილისის საკრებულო ლერმონტოვის ქუჩაზე გადადის

გამაგრებითი სამუშაოების საჭიროების გამო, დედაქალაქის საკრებულო ადგილმდებარეობას იცვლის. საკრებულოს დეპუტატები და აპარატის თანამშრომლები დროებით ლერმონტოვის №10 ში, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტროს შენობაში გააგრძელებენ მუშაობას. როგორც „მედიანიუსს“ საკრებულოდან განუცხადეს, თავისუფლების მოედანი №2 ში ფასადის აღდგენა უკვე დაწყებულია. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და შიდა კონსტრუქციის აღდგენას და საძირკვლის გამაგრებასაც საჭიროებს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამუკა ახვლედიანის განცხადებით, შენობა კულტურული ძეგლის სტატუსის მატარებელია და ისტორიულ სახეს სარემონტო სამუშაოების შემდეგაც შეინარჩუნებს. საკრებულოს შენობაში სარემონტო სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდება და სავარაუდოდ 1 წელს გაგრძელდება.

როგორც „მედიანიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, გადასვლის კონკრეტული თარიღი არ არის გადაწყვეტილი. სავარაუდოდ, საკრებულოს დეპუტატები და აპარატის თანამშრომლები ლერმონტოვის 10-ში აგვისტოს შუა რიცხვებში გადავლენ.

მედიანიუსი

# ბოკერიასთან ფლირტი ოპოზიციას დაღუპავს!

## 26 მაისს 17 ჟურნალისტი აწამეს

ქეთი ხომერიკი

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ მსოფლიო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, მსოფლიო უფლებადაცვით ორგანიზაციებს, ჟურნალისტთა გაერთიანებებს, გაერო-ს ადამიანის უფლებათა მთავარ კომისარს, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა მთავარ კომისარს და კეთილი ნების ადამიანებს მიმართვას უგზავნის. პოლიტიკურმა რეპრესიებმა არნახული მასშტაბები მიიღო. აბსურდული და დაუსაბუთებელი ბრალდებებით ჩვენს თანამემამულეებს თითქმის ყოველდღიურად აკავებენ. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მოქალაქეების გარდა, პოლიტიკური პოლიცია ცდილობს მედიის დატერორებას, რასაც ნათლად ცხადყოფს ე.წ. „ფოტორეპორტიორების საქმე“. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვაცხადებთ: რეჟიმთან ბრძოლის შიდა რესურსი სრულად ამოიწურა. გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდეთ საქართველოში მიმდინარე უმძიმეს პროცესებს! განახორციელოთ მკაცრი მონიტორინგი ადამიანის უფლებების სფეროში, მაქსიმალური სიზუსტით ასახოთ თქვენს დასკვნებში საქართველოში არსებული მდგომარეობა და სასწრაფოდ მისცეთ საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაცია, შეაჩეროს ტერორი და ძალადობა უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ!“, — ნათქვამია მიმართვაში. „ახალი თაობა“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

**სოსო მანჯავიძე:**

— ჩვენ ეს მიმართვა უკვე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ევროკავშირს და ა.შ. გადავუგზავნეთ, გავავრცელეთ. ჩვენ არ ვართ ის ჯგუფი, რომელიც შიდა მოხმარებისთვის, სხვების მსგავსად ბრიფინგს ჩაატარებს, რომლის არც ერთი სიტყვაც შემდეგ არსად არ მიდის და რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ჩვენ კარგად ვნახეთ შედეგები, როდესაც მედიაკავშირი ობიექტივის ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი იყო ბრიუსელში, სადაც ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის გამგეობას შეხვდა და სადაც გაირკვა, რომ საერთოდ არანაირი ინფორმაცია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში საქართველოდან არ მიდიოდა, მათ შორის, არც ის ინფორმაცია, რომ 26 მაისს ჟურნალისტებს სცემეს და დაარბიეს. ვიმეორებ, არც ერთი ეს ფაქტი მათ ყურამდე მისული არ ყოფილა. და ის პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და არასამთავრობოები, რომლებიც იბრალებენ, რომ რაღაც კომუნიკაციები აქვთ და ინფორმაციებს აწვდიან მათ, სინამდვილეში ამას აკეთებენ მხოლოდ ერთი რამის გამო — დაბლოკონ იმ ინფორმაციების გასვლა საქართველოდან, რომელიც არ აწყობს ხელისუფლებას. აი, ეს არის, ანუ მათი გრანტირების მთავარი საიდუმლო მდგომარეობს ხელისუფლების მსახურებაში. აი, ეს გამჟღავნდა და კარგად ვხედავთ ჩვენ ამის შედეგებს. ასევე იმას, თუ როგორ აწვდიდნენ ეს ვითომ დასავლური არასამთავრობოები ინფორმაციებს მათ. წარმოგიდგენიათ, არანაირი ინფორმაცია არ იყო იმის შესახებ, რომ 26 მაისს 18 ჟურნალისტი იქნა სასტიკად ნაცემნაწამები.

***— და ვერც შეიტყობდნენ, თქვენ რომ არ მიგეწოდებინათ ეს ინფორმაცია? როგორი იყო მათი რეაქცია, ბატონო სოსო?***

— ჩვენ, კერძოდ, ქალბატონმა ირმა ინაშვილმა და ბატონმა დავით თარხან-მოურავმა, ობიექტივმა და წინააღმდეგობის მოძრაობამ მივაწოდეთ მათ ეს ინფორმაცია. მათი რეაქცია იყო გაოცება, გაოგნება და საერთოდაც, მათ მიწოდებული ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ობიექტივი, ასეთი ორგანიზაცია საერთოდ არ არსებობს და ირმა ინაშვილი არის ავატარი. აი, ასეთ უსირცხვილობასთან გვაქვს საქმე. ახლა რაც შეეხება ჩვენს გუშინდელ აქციას. აქვე შეგახსენებთ, რომ მსგავსი აქცია ყოველ კვირას გაიმართება. ადამიანების შეკრება (მიუხედავად იმისა, რომ ამათ დრაკონული კანონები მიიღეს) აუცილებელია, იმიტომ, რომ დავანახოთ მთელ მსოფლიოს, ქართველი ხალხი ებრძვის დიქტატურას. აი, ეს უმნიშვნელოვანესია. ჩვენ, მოგეხსენებათ, ვაწყობთ მუდმივად ბრიუსელში და ევროპის სხვა ქალაქებში საპროტესტო აქციებს. ამ ბოლო თვეში ორი აქცია მოვაწყეთ უკვე. ამას გარდა, მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები და ამ შეხვედრებისთვის მზადება, ახლა ევროპის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტში იქნება მოსმენები საქართველოს შესახებ და 51 საქმე იქნა გადაგზავნილი ჩვენ მიერ პოლიტიკურ პატიმრებთან დაკავშირებით. კიდევ უამრავი სხვა მიმართულებებით მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ იმაზე, რომ შეწყდეს დეზინფორმაციის ნაკადის გასვლა საქართველოდან საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

***— კეთილი, თქვენ აღნიშნეთ, რომ რეპრესიები გაგრძელდება, დაპატიმრებების ახალ ტალღას ელით?***

— რეპრესიების გაძლიერებაზე თვითონვე ისაუბრა ხელისუფლებამ. წარმოიდგინეთ, 21-ე საუკუნეა და ჩვენ კლასიკურ ნეობოლშევიკურ მოდელში ვცხოვრობთ. რაღაც საოცარი ჯაშუშომანიაა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ამ ადამიანებს კარგად აქვთ შესწავლილი ორუელის ცხოველთა ფერმა. დიახ, მათ შეისწავლეს ეს და ახლა ჩვენზე ახორციელებენ ორუელის წიგნებში აღწერილ სიუჟეტებს, თანაც ეს ხდება ხალხის დაჩლუნგების მცდელობების ფონზე. ფოტორეპორტიორების საქმის შემდეგ, რომელთაც აღიარეს, რომ „ჯაშუშობდნენ“ და რომლებიც გამოუშვეს შემდეგი ფორმულირებით (პროკურატურის და უტიაშვილის განცხადება გახსოვთ), რომ მათ იმხელა ჯაშუშური ქსელი გაახსნევინეს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, მოკლედ, ისე ნაყოფიერად ითანამშრომლეს, რომ უმძიმესი ბრალდება — ჯაშუშობა, 14 წლიანი მუხლი ჰქონდათ და გამოუშვეს აბსოლუტურად უფასოდ. ყველაზე დიდი საოცრება აქ ის იყო, რომ ზოგიერთმა ექსპერტმა და აქციების მონაწილემ ეს გამარჯვებად შეაფასა. ყველაფერი მინახავს, ვნახეთ, წაგებული ომი მოგებულად რომ გამოაცხადეს, მაგრამ ადამიანის მიერ ისეთი დანაშაულის აღიარება, რომელიც ყველამ იცის, რომ არ ჩაუდენია და მერე ამ აღიარების საფუძველზე პროკურატურის განცხადება, რომ უამრავ სხვა ადამიანს დაიჭერენ, გამარჯვებად რომ გამოაცხადო, აი, ცნობიერების ეს მდგომარეობა ჩემთვის გაუგებარია. ეს არის რაღაც ფსკერი, რომლის ქვემოთაც აღარაფერია. მე რომ მოვისმინე ზოგიერთი ადამიანის განცხადება, ხელისუფლებას ჩავეხუტოთ, ასეთი ნაბიჯი რომ გადადგაო, გავოგნდი. ანუ რაზე უნდა ჩავეხუტო ხელისუფლებას, რომ მოაწერინა ხალხს ხელი ჯაშუშობაზე და კიდევ 200 კაცს დაიჭერს ახლა, ეს არის გამარჯვება? გამარჯვება კი არა, ეს უკვე ფსიქიკური გადახრებია და მე მინდა ამ ხალხს მოვუწოდო, რომ მიაკითხონ ახალ აშენებულ ფსიქიატრიულ კლინიკას (ასათიანიდან გადაიტანეს, თუ არ ვცდები, გლდანშია ახლა) და იმკურნალონ ფსიქიატრებთან. რაც შეეხება იმას, ველი თუ არა დაკავება-დაპატიმრებებს, რა თქმა უნდა, ველი.

***— ფოტორეპორტიორების შემდეგ რომელ სფეროში მოღვაწე ადამიანებს დააკავებენ და გამოაცხადებენ ჯაშუშებად?***

— შეეცდებიან დააკავონ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ აქტიური კომუნიკაცია დასავლეთთან და აწვდიან მათ იმ ინფორმაციებს, რომელიც სიმართლეა და უტყუარია.

***— ანუ თქვენც მათ შორის?***

— რა თქმა უნდა, დიდი შანსია. ახლა საქმე ისაა, რომ მედიაკავშირი ობიექტივის ინტერნეტმაუწყებლობა მთელ მსოფლიოს მოიცავს და უფრო მეტი ემიგრანტი უყურებს, ვიდრე საქართველოში მაცხოვრებელი ადამიანები, ბუნებრივია, ხელისუფლებას ეს აღიზიანებს, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამის გაკეთება გაუჭირდებათ, იქიდან გამომდინარე, რომ უმძიმესი რეაქცია ექნება ამას იგივე დასავლეთში, რადგან აღარ არის ეს დაუცველი, ყველამ ყველაფერი უკვე კარგად იცის.

***— სხვათა შორის, კულუარებში აქტიურად საუბრობენ ერთ-ერთი მედიასაშუალების ხელმძღვანელის შესაძლო დაკავების შესახებ, ბატონო სოსო...***



— ვიმეორებ, დიდი შანსია. ამათგან არაფერს გამოვრიცხავ. ჩვენი თავდაცვის მექანიზი არის სიმართლე და საჯაროობა, აბა, ბუნებრივია, 6 ათას კაციან ზონდერბრიგადებს და სპეცნაზს წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ. ეს იქნება ღია გადასვლა ამ ხელისუფლების, თუმცა ისედაც გადასულია შიშველ ძალადობაზე, მაგრამ იმ ანტურაჟსაც, რომელიც აქვს, საბოლოოდ ჩამოიხსნის. აი, მერე საინტერესოა, ჯონი რას ეტყვის მათ, ბასი, მათი მამა და მარჩენალი.

***— რას აღწევს ხელისუფლება მსგავსი ქმედებებით, ეს რადიკალიზმი სადამდე მიიყვანს პროცესებს ქვეყანაში?***

— ეს არის ბოროტი ხელისუფლება. ხომ გახსოვთ კუ და მორიელის იგავი, ზნე აქვს ასეთი. ჯიში და გვარი აქვს ასეთი და რა ქნას, „არცა კუდი ძაღლისაი განიმართების და არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, ნათქვამია.

***— და სად არის ამ დროს ჩვენი საამაყო პოლიტიკური ოპოზიცია?***

— პოლიტიკური ოპოზიცია არის პროსტრაციაში მინდა გითხრათ, ანუ პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი სრულ პროსტრაციაშია, ნაწილი კიდევ ცდილობს დაიმკვიდროს თავი, ხელისუფლების ყველაზე ოდიოზურ ნაწილთან კონტაქტების დამყარების მცდელობების გზით.

***— რომელი ოპოზიციური ძალა ცდილობს ამ ფორმით თავის დამკვიდრებას, ბატონო სოსო?***

— ჯერ ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ ეს დოკუმენტალურად არ არის დადასტურებული, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ თუ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს აქვს ილუზია იმისა, რომ ახლა ისინი ბოკერიასთან და რამიშვილთან გააბამენ ფლირტს და ასე დაიმკვიდრებენ თავს, მწარედ ცდებიან.

***— შემთხვევით ალასანიას ხომ არ გულისხმობთ ?***

— ჯერ არავის ვგულისხმობ( თუმცა ის ხვდება, ვისაც ვგულისხმობ) ვიმეორებ, თუ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს აქვს ილუზია იმისა, რომ ახლა, ბოკერია□ რამიშვილთან გააბამს სასიყვარულო პოლიტიკურ ურთიერთობებს და ხალხს ამაზე ინფორმაცია არ ექნება, ძალიან ცდება. და მე ჩემი მხრიდან ვამბობ, რომ ეს ჯგუფი — თავისუფლების ინსტიტუტის ჯგუფი არის პირდაპირი მტერი ყოველივე იმისა, რაც ჩვენ გვიყვარს და რისთვისაც ჩვენ ვცხოვრობთ. ესენი არიან საქართველოს მტრებით დაკომპლექტებული ადამიანთა ჯგუფი, მიზანთროპები, ქართული კულტურისა და ყოველივე ქართულის მოძულეები იმ დონეზე, რომ საჭმელსაც კი ვერ იტანს რამიშვილი ქართულს. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ არ გაიშიფრება მათი კავშირები და პატრიოტული რიტორიკით გადაფარავენ ამას, პირდაპირ ვეუბნები, ძალიან ცდებიან. ურჩევნიათ შეწყვიტონ ეს მოძრაობები, ნუ ცდილობენ, რომ არ გაითვალისწინონ ის, რომ საქართველოში არსებობს ქართველი ხალხი. ვიმეორებ, შეწყვიტონ ეს მოძრაობები. სხვათა შორის, მათ გადააგდებენ, თანაც აუცილებლად.

***— ასე ვთქვათ, გამოიყენებენ და შემდეგ უკვე გადააგდებენ?***

— დიახ, გადააგდებენ და მიიღებენ ზუსტად ისეთივე შედეგს, რა შედეგიც მიიღეს რვიანის ფორმატში. ანუ ჯერ ბითუმად დაიბარებენ, შემდეგ ცალ-ცალკე, მერე ისევ ცალ-ცალკე, მერე კვლავ ბითუმად და ბოლოს გამოაპინტრიშებენ იქიდან, როგორც სხვებს და არანაირი შედეგი არ ექნებათ.

***— ექვსიანს?***

— ერთი ოპოზიციური ჯგუფი დარჩა, რომელიც პოლიტიკურ მოლაპარაკებებს აწარმოებს, დიახ, ექვსიანს. ვაფრთხილებ მათ, რომ თუ ისინი აირჩევენ ამ გზას, ჯერ ერთი, იქნება ეს უზნეობა, მეორე, ეს იქნება მათი დამღუპველი, უკვე არის კიდეც, მათი რეიტინგების შესახებ გაქვთ წარმოდგენა, საშინელებაა...

***— რა გარიგებაზეა საუბარი?***

— პარლამენტში ადგილების გაყოფაზე.

***— და ხელისუფლება რას ითხოვს სანაცვლოდ, მილიონი ამომრჩეველი არ დამიპირისპიროთო?***

— რა თქმა უნდა, ამაზე მიდის მათ შორის საუბარი, რაზე შეიძლება იყოს სხვაზე ლაპარაკი, აბა.

***— გასაგებია და თავად ნაციონალებში რომ ყოფილა განხეთქილება და შავ კატას გაურბენია, ამაზე თუ გსმენიათ რამე?***

— ყველა ასეთი ტიპის ხელისუფლება ბოლოს ამთავრებს იმით, რომ ერთმანეთს დაერევიან ხოლმე. საბოლოოდ ისინი ორად გაიყოფიან. ერთი ჯგუფი შეეცდება, ასე ვთქვათ, აიშენოს თავისი სასახლე, თავისი უსაფრთხოების წარმოსახვითი სასახლე და უკვე ჩანს კიდევაც ეს. ანუ ისინი შეეცდებიან რაღაცნაირად თვითონ იყვნენ უსაფრთხოდ. რა თქმა უნდა, ამაზე იეჭვიანებს მეორე ჯგუფი ძალოვნების, სააკაშვილის მეთაურობით, და ატყდება მათ შორის ერთი ამბავი. ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. იქნება კინკლაობები, თუმცა ერთმანეთს არ გადაიყოლებენ. და თუ მაინც ამ ორიდან ერთ-ერთმა ძალამ გაიმარჯვა (ორივე ეს ძალა ერთმანეთზე უარესია, მინდა გითხრათ), ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ანუ გაუმჯობესებული მიშა არ იქნება. მიშა არ შეიძლება გაუმჯობესდეს, ის შეიძლება მხოლოდ გაუარესდეს. ერთი სიტყვით, ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ.

***— როგორც ითქვა, აქცია ყოველ კვირა დღეს გაიმართება, წინააღმდეგობის მოძრაობა ამ პაპანაქება სიცხეში დასვენებას არ აპირებს?***

— ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვისვენებთ, არა იმიტომ, რომ მოუსვენარი ხალხი ვართ და დასვენება არ გვინდა, გვინდა, რა თქმა უნდა, მაგრამ რა დროს დასვენებაა, როცა მთლიანად საქართველო გადაიქცა, ასე ვთქვათ, ღირსეული ცხოვრებისათვის შეუსაბამო ზონად. რა დროს დასვენებაა მაშინ, როცა მასობრივი ხასიათი მიიღო გაუპატიურებამ და გაუპატიურების მუქარამ ციხეში. აღიარებით ჩვენებებს მამაკაცებს აწერინებენ გაუპატიურების მუქარით. ეს სატანისტური მანქანა ასე მუშაობს და მე მიკვირს საერთოდ, ამაზე ხმას რომ არ იღებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

***— ეკლესია ახსენეთ და აქვე გკითხავთ, ითქვა, რომ სპეცნაზი მამაოების დასარბევად ემზადება და მეუფეებზე შეიკრება საქმეებიო, ნუთუ ეს მოსალოდნელია?***

— დაარბევენ, აუცილებლად დაარბევენ. მეუფეებს, რა თქმა უნდა, დააკავებენ. ესენი არ გაჩერდებიან. მე ვთქვი კიდეც თუ გახსოვთ, რომ ამ კანონის მიღება უმძიმეს შედეგებს გამოიწვევს-მეთქი და ეს ასეც იქნება. როცა სვეტიცხოველში მივიდა სააკაშვილი და იქ მიშა, მიშა, აყვირა თავის უსირცხვილო მეხოტბეებს, აი, იქ გადაილახა უდიდესი სულიერი ბარიერი და ახლა, ფაქტობრივად, ჩვენ გვაქვს სახეზე აი, ამ ბოროტი ძალის თარეში მთელ ქვეყანაში. ეს, სავარაუდოდ, აგვისტოში მოხდება.

***— და რას იტყვიან, ჯაშუშები არიანო?***

— რა თქმა უნდა, აბა, რას იტყვიან! რა, ნაკლები რაღაცეები უთქვამთ. ისინი შეეცდებიან, დაიჭირონ ყველა თავისი მოწინააღმდეგე, 300 ათასი ადამიანი გაასამართლეს უკვე.

***— და ეს რას გამოიწვევს, შემთხვევით სამოქალაქო დაპირისპირებას ხომ არა, ბატონო სოსო?***

— რა უნდა გამოიწვიოს, უფრო სწორად, მეტი რაღა უნდა გამოიწვიოს. ამათ უკვე ჰგონიათ, რომ ყველაფერი გაუვათ. აი, მე იმიტომ ვთქვი, იმ პოლიტიკურ ჯგუფზე, რომ თავი დაანებონ ამ ფლირტს თავისუფლების ინსტიტუტის ბარტყებთან, დაფრთიანებულ ბოროტ ძალებთან, ამ ხალხთან ურთიერთობა არ შეიძლება, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის აბსოლუტური ბოროტება. მისხალ სიკეთეს არ მოგიტანს ეშმაკთან ურთიერთობა და ვაფრთხილებ, გაითვალისწინონ ეს. ნუ შეეკვრებიან მათ და ახალ ტრაგედიას ნუ გადაკიდებენ ქართველ ხალხს.

### გიორგი ლაღიძე: სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაიაფებაზე რეკომენდაცია გაიცა

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულების შემცირებაზე თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურმა რეკომენდაცია გასცა. როგორც „მედიანიუსს“ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ განუცხადა, იგი ამ საკითხზე ხსენებული სამსახურის უფროს აკაკი ჯოხაძეს ტელეფონით ესაუბრა. მისი თქმით, ამ თემაზე დედაქალაქის მერიასთან მოლაპარაკებას მხოლოდ „მომავალი საქართველო“ მართავს. მოლაპარაკებების შედეგებსა და აღნიშნული პარტიის მიერ ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე გიორგი ლაღიძე ხვალისთვის დაგეგმილ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს.

შეგახსენებთ, რომ უკვე ერთი კვირაა, დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულება 50-დან 80 თეთრამდე გაიზარდა, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა.

**მედიანიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი ალოობას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი სართიჭალაში „ალოობა 2011-ს“ დაესწრო. წელს ფერმერებმა რეკორდული მოსავალი— ერთ ჰექტარზე 3 ტონა ხორბალი მიიღეს. მიხეილ სააკაშვილი იმ ფერმერებს შეხვდა, რომლებმაც სახელმწიფო პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა და ჯაგერის ჯიშის ხორბალი დათესეს. 2010 წელს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან 2000 ტონა ამ ჯიშის სიმინდის თესლი შემოვიდა.

— მთავარი რაც უნდა გავაკეთოთ, ის არის რომ არცერთი მტკაველი მიწა საქართველოში არ უნდა იყოს დაუმუშავებელი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველაზე კარგი სათესლე მასალა, საუკეთესო სასუქები და საუკეთესო ტექნიკა, რათა ავიღოთ მაქსიმალური მოსავალი ყოველი ჰექტარიდან, — განაცხადა მიხეილ სააკშვილმა.

გუშინ პრეზიდენტი გლეხებს სასუქითა და ტექნიკით დახმარებასაც დაჰპირდა. სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის თქმით, ეს რეკორდული მოსავალია, რადგან ბოლო წლების განამვლობაში მაჩვენებელი არ აცდენია 1,5 ტონას ჰექტარზე. წელს კი მოსავალმა ერთ ჰექტარზე საშულოდ 3 ტონას მიაღწია.

— ქვეყნის მასშტაბით გავქვს 110 ათასი ტონა მოსავალი, თანამედრო ტექნიკის პირობებში დანაკარგი სამ პროცენტამდეა შემცირებული. ჯერჯერობით იმპორტირებულია 127 ათასი ტონა ხორბალი. მომდევნო წლებში ხორბლის მოთხოვნის 35 პროცენტს ჩვენი ხორბლით დავფარავთ, ეს არის დაახლოებით 20 ათასი ტონა, რაც რეალური მაჩვენებელია, — განაცხადა კვეზერელმა.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებამ ეკლესიის მიმართ დიდი შეცდომა დაუშვა

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან

*— ქალბატონო მანანა, ფაქტია, რომ ოპოზიციის მრავალმხრივი ბრძოლისა და საერთაშორისო არენაზე გაკეთებული უარყოფითი შეფასებების ფონზე სააკაშვილის ხელისუფლება ძლიერდება. რა არის ამის მიზეზი?*

— ბოლო წლებში ოპოზიციის ბრძოლამ არსებული ხელისუფლების შესაცვლელად და ზოგადად ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის, სამწუხაროდ, შედეგი ვერ მოიტანა. ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“, ვცდილობთ, გავაანალიზოთ არსებული ვითარება და დასკვნები გამოვიტანოთ: რატომ მოხდა ეს? სად დაუშვა ოპოზიციამ შეცდომა? რატომ ვერ მოახერხა საზოგადოების მობილიზაცია და სწორედ აქედან გამომდინარე დაგეგმოთ ჩვენი მომავალი სტრატეგია. ის, რომ დღეს ხელისუფლება, მიუხედავად ასეთი მრავალწლიანი საპროტესტო აქციებისა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ჩაბმული იყო ამ საპროტესტო მოძრაობაში, ხელისუფლებამ მაინც შეინარჩუნა არსებობა და თან გაძლიერდა, როგორც თქვენ ამბობთ, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ: ერთი — თვითონ ოპოზიციამ ვერ იმუშავა ალბათ ისე, როგორც საჭირო იყო; მეორე — საზოგადოების სრული მობილიზაცია ვერ მოხდა; მესამე — რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და რისი დაჯერებაც ძალიან ბევრს არ უნდა — ხელისუფლებამ იმუშავა ძალიან ეფექტურად. ხელისუფლებას ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს პიარი და, აქედან გამომდინარე, მან თავისი პიარი ააგო ძალიან სწორად და სტრატეგიაც ზუსტად დაგეგმა. ცალკე საკითხია, რომ ხელისუფლებამ მანამდე, სანამ ამ პიარ-სტრატეგიას ააგებდა, მოახერხა, რომ ხელში ჩაეგდო მთავარი საინფორმაციო ელექტრონული საშუალებები. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული წინაპირობაა და სწორედ აქედან გამომდინარე მოახერხა თავისი ეფექტურობის ამაღლება. ეს არის დღეს მოცემული რეალობა. სწორედ აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ალბათ განვლილი მდგომარეობის ანალიზი, დღევანდელობის შეფასება, ხელისუფლების „განეიტრალება“ ამ სფეროში, რასაც ჰქვია პიარ-პოლიტიკა და რაც გულისხმობს იმას, რომ მას ხელში აქვს ჩაგდებული მთავარი საინფორმაციო საშუალებები, აი, ამ მიმართულებით უნდა წავიდეს ოპოზიცია და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი წარმატების მიღწევა. ჩვენ ძალიან ბევრი რამის გადაფასება მოგვიხდა, პირველ რიგში, იმის გადაფასება, რომ ეს ყბადაღებული ერთობა, როდესაც სრულიად ეკლექტური გაერთიანებები იქმნება მხოლოდ-დამხოლოდ იმის გამო, რომ ერთი ადამიანი გავუშვათ სახლში, ამ გაერთიანებებმა არ გაამართლა. ეს დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. თუ დღეს ვინმე ფიქრობს, რომ წარმატების საიდუმლო მხოლოდ იმაშია, რომ ოპოზიცია იდგება ერთად და იქნება შეურყეველი, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, იმიტომ რომ ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ოპოზიციური სპექტრი გაჯერებულია როგორც მართლაც ოპოზიციური პარტიებით, ასევე ისეთი ოპოზიციური პარტიებით, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ემსახურებიან პოლიტიკაში. ხშირ შემთხვევაში არიან აბსოლუტურად მართული ხელისუფლების მხრიდან, რაც თავისთავად განაპირობებს, რომ ასეთი ერთობები განწირულია წარუმატებლობისთვის. ბოლო წლებმა ჩვენც მხოლოდ ეს დაგვანახთა. ამიტომ ახლები ვფიქრობთ, სრულიად სხვანაირად ავაგოთ ჩვენი სტრატეგია, ჩვენ თვითონ დავგეგმოთ ჩვენი გასაკეთებელი საქმე და მომავალი ნაბიჯები, რაც ყველაზე მთავარია: ჩვენს თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა და, წარმატებისა თუ წარუმატებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ჩვენ მიმართ გვექნება პრეტენზიებიც და შენიშვნებიც.

***— ანუ ოპოზიციამ დღემდე სწორად ვერ გათვალა, რა კუთხით უნდა იბრძოლოს სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც, ბევრის შეფასებით, რეჟიმად ჩამოყალიბდა?***

— კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება, განვლილ პერიოდში ბევრი რამ იყო ძალიან სწორი, მაგრამ თვითონ ის ამოსავალი ჩემთვის, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირება, ხელისუფლების კრიტიკა და დანაშაულებრივი ქმედებების მხილება იყო ძალიან სწორი. ეს იყო აუცილებელი. მაგრამ რაც შეეხება საბოლოო წარმატებას ჩვენი ბრძოლისა, რა უნდა ვთქვა, ამის დაგეგმვაში ძალიან სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული. არის შანსი, რომ ეს შეცდომები იქნეს გამოსწორებული. „ახალ მემარჯვენეებს“ გვაქვს სწორედ ამის მცდელობა. დღესაც, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინ ჩვენი არაორდინარული ნაბიჯი აღიქმებოდა საერთო საქმის ღალატად, დღესაც ცალკეული შეფასებები გვესმის ისევ ასეთი, რომ ახლებმა გადაუხვიეს გეზს; სხვაგან წავიდნენ. მაგრამ, მერწმუნეთ, ეს არის კვლავ და კვლავ შედეგი იმისა, რომ დღევანდელ სიტუაციაში ალბათ ყველაზე მეტად და ალბათ ერთ-ერთმა ყველაზე მეტად გავაანალიზეთ დაშვებული შეცდომები და ერთ-ერთმა ყველაზე მეტად, სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, გადავწყვიტეთ, რომ ის, რაც იყო შეცდომა, უნდა ავიცილოთ მომავალში და სრულიად ახალი სტრატეგია და ხედვა დავნერგოთ. ჩვენ არაერთი შემთხვევა გვქონდა წარსულში, როდესაც ხელისუფლება გვთავაზობდა რაღაცას, ჩვენ ვიყავით მაქსიმალისტები ჩვენს მოთხოვნებში და ვეუბნებოდით, რომ არა, თუ არ შესრულდა ყველაფერი, მაშინ ჩვენ არ მივიღებთ ამ ნაწილობრივ შესრულებებს და ყოველთვის წავაგეთ. ახლა ვფიქრობთ, რომ ასეთი შეცდომა აღარ დავუშვათ. ის მიღწევა ვაქციოთ საფუძვლად, რომელსაც ჩვენ მართლაც მივაღწიეთ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. მივიღეთ რაღაც გარკვეული ცვლილებები საარჩევნო გარემოში, რომელიც შეიძლება გახდეს ჩვენი მომავალი წარმატებების საფუძველი. ჩვენ ამაზე გვინდა დავაფუძნოთ ჩვენი მომავალი წარმატებები. თუ ვინმეს ექნება ჩვენნაირი ხედვა, კი ბატონო, ჩვენ მასთან კოორდინირებულ ქმედებაში ვიმოქმედებთ. ვისაც განსხვავებული ხედვა აქვს, ისინიც ალბათ ერთ ბლოკად ჩამოყალიბდებიან ან ერთიანი კოორდინაცია ექნებათ. მე ვფიქრობ, მომავალ პარლამენტში ყველაზე რეალისტური ხედვაა ის, რომ ჩვენ „შევავიწროვოთ“ ნაციონალური მოძრაობა, რომ ის არ იყოს ასეთი უმრავლესობით წარმოდგენილი, როგორც დღეს არის და რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შევიდეს კონსტრუქციული, გონიერი და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პოლიტიკური ძალები. ცხადია, შევლენ ზომიერების და არა რადიკალური ქმედებების მიმდევარი პარტიებიც ჩვენი სახით. შევლენ ალბათ რადიკალური პოლიტიკური პარტიებიც. ვერ გეტყვით, ეს უკვე საზოგადოების გადასაწყვეტია და მისი ასარჩევია. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს გამოიწვევს იმას, რომ მომავალი პარლამენტი იქნება უფრო დაბალანსებული. მე ვფიქრობ, რომ თუ ვინმე დღეს ამაზე მეტს ჰპირდება მოსახლეობას, ამომრჩეველს და ეუბნება, რომ მოვა, ჩამოვალ საიდანღაც ან დავდგები ქუჩაში და ერთ დღეში დავამთავრებ მიშას. ის, უბრალოდ, ატყუებს ამომრჩეველს. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი ამომრჩეველი მოვატყუოთ და საზოგადოება ცრუ დაპირებებით ვკვებოთ.

***— თქვენ მომავალში დაბალანსებულ პარლამენტზე აკეთებთ აქცენტს. რეალურად ხალხი ასეთი პარლამენტის მოლოდინში უნდა იყოს? ფაქტია, სააკაშვილის რეჟიმის ანტიეკლესიური ქმედებაც ვნახეთ რელიგიურ კონფესიებთან მიმართებით. ეს სააკაშვილის ლობისტების მუშაობის შედეგია და იმის, რომ ოპოზიციონერი ლიდერები უცხოელი მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან სათანადოდ არ აყენებენ ქვეყნის პრობლემებს?***



— თქვენ საუბრობდით უცხოელ კონსულტანტებზე. გეთანხმებით, რომ უცხოელი კონსულტანტები ამ ხელისუფლებას ძალიან ხშირად აძლევენ ისეთ რჩევებსა და სწორ რჩევებს, რომლებზეც მერე აგებულია მათი მომავალი წარმატებები. რას იზამთ, ასეთი ფუფუნების საშუალება, რომ ძვირადღირებული კონსულტანტები გყავდეს და საკმაოდ კარგად დაფინანსებული, ყველა პოლიტიკურ პარტიას არა აქვს. ასეთი შესაძლებლობა დღეს მხოლოდ მმართველ პარტიას აქვს და, ბუნებრივია, მათი ქმედებები არის უფრო კვალიფიციური და ჩვენი ქმედებები ხშირ შემთხვევაში ვერ არის ამ დონის კვალიფიკაციის. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მომავალში არ ვივარაუდოთ, რომ ახალი პარლამენტში ვერ იქნება, ვთქვათ, ისეთი დოზით წარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობა, როგორითაც დღეს არის. საზოგადოებამ, ასეა თუ ისე, თავისი დასკვნა გააკეთა. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ტაქტიკა უნდა შევცვალოთ, ეს ტაქტიკა, პირველ რიგში, უნდა იყოს ის, რომ აღარ არის საჭირო ამდენი საუბარი და აპელირება ხელისუფლების შეცდომებზე და საუბარი იმაზე, რომ მიშა ცუდია. ამაზე ლაპარაკი შედეგს ვერ მოიტანს. ხალხმა კარგად გაიგო, რომ მიშა ცუდია, რომ მისი რეფორმების ნაწილი არის ძალიან ცუდი ქვეყნის მომავლისთვის. მეორე მხრივ, საზოგადოებამ ვერ დაინახა ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც უკეთესად გააკეთებს ამას და უკეთეს მომავალს შეუქმნის თავის ქვეყანას. ჩემი აზრით, მუდმივად ვართ ცაიტნოტურ სიტუაციაში და ნაჩქარევად გვიწევს საარჩევნო კამპანიის ჩატარება, რომელიც მუდმივად არის ნეგატიური. სამწუხაროდ, ვერასოდეს ვაჩვენებთ ხალხს, რა შეგვიძლია. ამან განაპირობა ჩვენი სტრატეგიის შეცვლა. ახლებმა უკვე დავამთავრეთ მუშაობა ჩვენს სტრატეგიულ დოკუმენტზე და ამან განაპირობა ჩვენი დამოკიდებულებაც ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე. ამ ცვლილებებს საარჩევნო გარემოს კუთხით იმიტომ დავთანხმდით, რომ წელიწადზე მეტი, რომელიც დარჩენილია არჩევნებამდე, მოვახმაროთ ჩვენი პროგრამის მიტანას საზოგადოებამდე.

***— დაბოლოს, ქალბატონო მანანა, მოდით ვისაუბროთ წმინდა სინოდის გადაწყვეტილების შემდგომ გავრცელებულ ინფორმაციებსა და კანონზე, რომელიც რელიგიურ კონფესიებთან მიმართებით იყო მიღებული. ითქვა, რომ სააკაშვილმა სომხური ლობის ინტერესები დააკმაყოფილა 5 მილიარდის სანაცვლოდ.***

— ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოდ ისაუბრა ფიქრია ჩიხრაძემ თავის ინტერვიუში. ახლები თავის დროზე ჩვენი განცხადებით გამოვეხმაურეთ ამ პროცესს. ის ფაქტი, რომ კანონში ასეთი ცვლილებები შევიდა, სერიოზული საფრთხის შემცველი არ არის, ანუ იურიდიულად ეს ჩანაწერი საფრთხეს არ წარმოადგენს. სხვა საკითხია, როგორ ვითარებაში იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება და რა უძღოდა მას წინ. სწორედ ამ შემთხვევაში დაუშვა ხელისუფლებამ ძალიან დიდი შეცდომა. მიუხედავად უწმინდესის თხოვნისა და იმისა, რომ ძალიან ცუდი ფონი იყო შექმნილი, ხელისუფლებამ მაინც ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო. ამას მოჰყვა საზოგადოების ძალიან სწორი რეაქცია. ახლებში ყველაზე შემაშფოთებელ პოზიციას იწვევდა ის, რომ ამ მოვლენებს შეეძლო გამოეწვია განხეთქილება სინოდში ან ქართულ ეკლესიაში. დღეს არის ამის მცდელობა. ვერ გეტყვით, ეს მცდელობა გაცნობიერებულია თუ გაუცნობიერებელი. ალბათ ძალიან ბევრია დღეს იმის მომხრე, რომ ჩვენს ეკლესიას ბზარი გაუჩნდეს. არაფრით ამის დაშვება არ შეიძლება.

***— განხეთქილებას არ მიანიშნებს ის ფაქტი, რომ პატრიარქის გადაწყვეტილებას მხარი სინოდის 18-მა წევრმა დაუჭირა, ხელისუფლებისას კი — ოცმა. სომხური ინტერესების დაკმაყოფილება არ ადასტურებს იმას, რომ ეკლესიის შიგნით უკვე პრობლემაა?***

— არ მინდა, ჩემი დასკვნა გამოვიტანო იმ ცალკეული პუბლიკაციებით, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა. ზუსტად არ ვიცი, რა განწყობა იყო სინოდის სხდომაზე. საპატრიარქოს ოფიციალური განცხადებაა, რომ გადაწყვეტილება ერთსულოვნად იყო მიღებული. მე მჯერა, რომ ასე იყო. ვფიქრობ, პატრიარქის იმიჯი იმდენად მაღალია ქვეყნის შიგნით და თვითონ ეკლესიაში, რომ, ვფიქრობ, ის შეძლებდა, თავისი ავტორიტეტით სრულიად უმტკივნეულოდ გაეტანა თავისი გადაწყვეტილება. ამიტომ ნუ შევიქმნით შთაბეჭდილებას ვიღაცების სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნუ ვეცდებით, საპატრიარქოსა და ზოგადად ეკლესიის ქმედებები ექვემდებარებოდეს ჩვენს სუბიექტურ მოსაზრებებსა და ხედვას. თუ არ დაემთხვა საპატრიარქოს ქმედება ჩვენს ქმედებას, მაშინ ვხდებით აგრესიული. თავიდან ბოლომდე ასეთი საქციელი არაქრისტიანული და გაუმართლებელია ქვეყნის მომავალთან მიმართებით. ვფიქრობ, ეს არის თემა, რომლის მიმართაც ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩვენ გვყავს ძალიან ბრძენი პატრიარქი, რომელიც ამ ფეთქებადსაშიშ ვითარებაში მართავს პროცესებს. დარწმუნებული ვარ, პატრიარქის გონიერება არის გარანტი იმისა, რომ ჩვენ შევძლებთ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს გარანტირებული იქნება მაშინ, თუ ყველა, ვისაც აქვს სურვილი, უხეშად არ ჩაერევა ეკლესიის ცხოვრებაში.

***— არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა სომხური ინტერესები გაატარა?***

— ეს უკვე ჭორაობას ემსგავსება. სიმართლე გითხრათ, სომხებს ჰქონდათ თავიანთი ინტერესები საქართველოში. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების რომელიმე ფრთაში ჰყავდეთ მხარდამჭერები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე არა მაქვს იმის საფუძველი, რომ ასეთი მძიმე ბრალდება წავუყენო ხელისუფლებას.

## ნიკოლოზ მჟავანაძე: საქართველოს გაუდაბნოება ელის

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტის ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, აგვისტოს შუა რიცხვებში იწყება აუქციონი, რომელზეც 49 წლის ვადით საქართველოს ტყეები აუქციონზე გადის. ამის შესახებ მჟავანაძემ „მწვანეთა პარტიის“ ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, 2009 წლის გაზაფხულზე ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვის მინისტრებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეხვედრისას მიიღეს გადაწყვეტილება ტყეების გასხვისების პროცესის შეჩერების შესახებ და პროცესი იქამდე არ გაგრძელდებოდა, ვიდრე მისი ნაკლოვანებები არ აღმოიფხვრებოდა.

— ამის მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, ტყეების 49 წლიანი იჯარით გაცემის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მჟავანაძის თქმით, კანონმდებლობაში, კერძოდ ტყის კოდექსში ცვლილებები იგეგმება. ცვლილების თანახმად მოიჯარე კომპანიას ვალდებულებებთან ერთად განსაზღვრული უფლებებიც ექნება. იჯარით აღებულ ტყეში მინერალური წყლის, საბადოს ან დღემდე აღმოუჩენელ სხვა წიაღისეულის აღმოჩენის შემთხვევაში, მოიჯარეს მისი წარმოების, გადამუშავების და მარკეტინგის წარმოების უფლება ეძლევა, რაც მას დამატებით შემოსავალს მისცემს.

მჟავანაძის თქმით,ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ორჰუსის კონვენციით აღებულ ვალდებულებებს, გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტს, საქართველოს ტყის კოდექსის 35 ე მუხლის პირველ ნაწილის ,,ა„ და ,,ბ„ პუნქტებს, ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მეშვიდე მუხლის პირველ და მეორე ნაწილს და კონსტიტუციის 37 ე მუხლის მეოთხე პუნქტს.

— ნათლად გამოჩნდა, თუ რას ემსახურებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმება და სატყეო სექტორის ენერგეტიკისთვის გადაცემა. პრეზიდენტის ფრაზა — ტყემ მხოლოდ ეკონომიკაზე უნდა იმუშაოსო — რეალობა ხდება.ხელისუფლების გადაწყვეტილება უახლოეს ხანში საქართველოს ეკოსისტემას ტყეების და წიაღისეულის გარეშე დატოვებს, მთავრობას კი გაუდაბნოების წინააღმდეგ პროგრამების შემუშავება მოუწევს, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ მოუწოდებს ხელისუფლებას, ტყეების იჯარით გაცემაზე მორატორიუმი გამოცხადდეს და შეაჩეროს ტყეების იჯარით გაცემა. ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიმართვასაც გეგმავს.

მედიანიუსი

## საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ქართველმა მესაზღვრეებმა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, საქართველოს მოქალაქე ბაბაკ ნაგიევი დააკავეს. დაკავებული აზერბაიჯანში, ოქროს არალეგალურად გადატანას ცდილობდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე ბაბაკ ნაგიევი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დააკავეს. ის ოქროს ნაკეთობების კონტრაბანდულად საზღვარზე გადატანას ცდილობდა. ოქროს ნაკეთობებს დაკავებული, საკუთარ ავტომანქანაში, სპეციალურ სამალავში მალავდა.

მესაზღვრეებმა სამალავიდან დაახლოებით კილოგრამზე მეტი ოქროს ნაკეთობა ამოიღეს. ნაგიევს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ხუთიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მედიანიუსი

## თბილისის სასტუმროებში დატვირთვის მაჩვენებელი 70 პროცენტზე მაღალია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სამომავლოდ თბილისში არაერთი ახალი სასტუმროს აშენებას ელის. როგორც მან მთავრობის სხდომაზე განაცხადა, გასულ წლებში თბილისის სასტუმროები ძალიან არ იყო დატვირთული. ამჟამად კი მათი დატვირთვის მაჩვენებელი 70 პროცენტზე მაღალია.

გილაურის მოსაზრებით, ეს სტიმული გახდება ინვესტორებისათვის, რათა მათ მომავალ წლებში დედაქალაქში არაერთი სამ-, ოთხ-, და ხუთვარსკლავიანი სასტუმრო ააშენონ.

მედიანიუსი

## მაროკოში ავიაკატასტროფას 78 ადამიანი ემსხვერპლა

მაროკოში სამხედრო თვითმფრინავ ჩერცულეს ჩ-130-ის კატასტროფას 78 ადამიანი ემსხვერპლა, - ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი“ იუწყება. მაშველებმა ავიაკატასტროფის ადგილზე რამდენიმე გადარჩენილი ადამიანიც იპოვეს. სხვადასხვა მონაცემებით, გარადჩა 3-დან 5-მდე ადამიანი. დაღუპულთა უმრავლესობა მაროკოელი ჯარისკაცია.

თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი, წინასწარი ინფორმაციით, ცუდი ამინდი და ძლიერი ნისლი გახდა. თვითმფრინავი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა.

ინტერპრესნიუსი

# დეპუტატებმა ამორტიზებული მანქანები ვერ გაყიდეს

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტმა ჯართი გაყიდა. ჯართი აუქციონის მეშვეობით გაიყიდა. შემოსული თანხის რაოდენობა ამ ეტაპზე არ კონკრეტდება.

შავი ლითონის ჯართისა და ამორტიზებული ძირითადი საშუალებების პრივატიზების მიზნით აუქციონი ორი დღის წინ ჩატარდა. აუქციონზე გატანილი იყო ამორტიზებული მანქანებიც. პარლამენტმა მხოლოდ ჯართის გაყიდვა შეძლო, ამორტიზებული მანქანების კი — ვერა.

აუქციონზე გავიდა ჯართი, საერთო სავარაუდო წონა 1000.0 კგ, რომელიც განთავსებულია პარლამენტის სარდაფის სართულზე და დაგროვილია სხვადასხვა სამუშაოს შედეგად.

საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი ლოტების მიხედვით საწყის გასაყიდ ფასზე ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზება იყო, თუმცა, ჯერჯერობით პარლამენტში არა აქვთ ინფორმაცია შესული თანხის კონკრეტული ოდენობის შესახებ. აუქციონზე გატანილი იყო 1998 წელს გამოშვებული, ექსპლუატაციისთვის დამახასიათებელი ძლიერი სახის დაზიანებების მქონე ავტომობილი „შევროლე კავალიე“, 1995 წელს გამოშვებული ავტომობილი „გაზ 31029“, ასევე დაზიანებული, 1998 წელს გამოშვებული, ძლიერი დაზიანებების მქონე ავტომანქანა „შევროლე კავალიე“; მცირე დაზიანებების, ძირითადად კი განაკაწრების მქონე დაჯავშნული ავტომობილი „კადილაკ სედან დევილი“, 1998 წელს გამოშვებული, რომლის საწყისი ფასი 23 000 ლარი იყო. ავტომობილების გარდა, აუქციონზე გატანილი იყო კონდიციონერები. მათი ფასი 480 ლარიდან 600 ლარამდე მერყეობდა, ასევე სეიფი, სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შედეგად დაგროვებული სხვადასხვა სახის ჯართი, მათ შორის, რკინის კარადები, ამორტიზებული სეიფები, რკინის გისოსები, გენერატორები და ორი ცალი გათბობის ქვაბი. შავი ლითონის ჯართი დაახლოებით 16 290 კილოგრამი იყო.

ჯართის ფასი მოწვეული აუდიტის შეფასების შედეგად დაედო.

როგორც ცნობილია, ავტომობილები აუქციონზე ხელმეორედ გავა.

ჯართის გაყიდვიდან შესულ თანხას, სავარაუდოდ, პარლამენტი განკარგავს. რას მოხმარდება ჯართის აუქციონიდან მიღებული შემოსავალი, ჯერჯერობით უცნობია.

# აფხაზები საქართველოსთან მოლაპარაკებაზე აუცილებლად წამოვლენ

ნანა მიშელაშვილი



პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთში ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დაიწყებს ფიქრს, როგორ დალაგდეს ურთიერთობები აფხაზებსა და ქართველებს შორის. დავით დარჩიაშვილის განცხადებით, მთავარი პრობლემა არის საოკუპაციო რეჟიმი და ამ ადამიანთა დამოკიდებულება რუსულ სპეცსამსახურებზე, რომლებიც სხვადასხვა მეთოდს ფლობენ, რომ ადამიანებზე ზედმეტი ზეწოლა განახორციელონ.

კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ რუსეთთან ურთიერთობა პირველ რიგში გასარკვევია საერთაშორისო დონეზე. მისივე აზრით, ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან შამბა, ანქვაბი თუ სხვები, დამოუკიდებელ თამაშს ვერ თამაშობენ, რუსეთი როგორც მოიქცევა, იმის მიხედვით ლავირებენ ისინი.

რა ხდება აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ? როგორია ყარაბახის საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარის პოზიცია? „ახალი თაობა“ **დავით დარჩიაშვილს** ესაუბრა.

***— რამდენად რეალურია ანქვაბის განცხადება, რომ საქართველოსთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოხდეს მოლაპარაკების დაწყება?***

— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დღეს აფხაზეთში, ადრე თუ გვიან, დაიწყებს ფიქრს, როგორ დალაგდეს ურთიერთობები აფხაზებსა და ქართველებს შორის. მე მგონია, რომ ბევრი ამაზე უკვე ფიქრობს. აქ მთავარი პრობლემაა საოკუპაციო რეჟიმი და ამ ადამიანთა დამოკიდებულება რუსულ სპეცსამსახურებზე, რომლებიც მეთოდებს ფლობენ, რომ ამ ადამიანებზე ზედმეტი ზეწოლა განახორციელონ, მათ არ გააკეთებინონ ის, რაც, საბოლოო ჯამში, მათი ინტერესებისთვის არის სასარგებლო, ისე, როგორც საქართველოსთვის. შესაბამისად, არ ველოდები რაღაც სასწაულებს. ეს ე.წ. სასწაულები და სინამდვილეში ლოგიკური განვითარება მოხდება მაშინ, როცა რუსეთში იქნება ცვლილებები ან რუსეთში მოვლენ რეფორმისტი ადამიანები, რომლებიც დემოკრატიულ გარდაქმნებს, მეზობლებთან და დასავლეთთან ინტეგრაციას დაისახავენ მიზნად, მაშინ გაიოლდება ჩვენი ურთიერთობები, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხზე, ან თუ ასე გაგრძელდა რუსეთში, მათი რესურსები ვერ გაუძლებს იმ რეპრესიულ და კორუფციულ რეჟიმს, რომელიც იქ არსებობს, მაშინ კრიზისული მოვლენები დაიწყება. ორი ასეთი სცენარია, მესამე სცენარი არ არსებობს. ორივე სცენარი შეუწყობს ხელს და დააჩქარებს პროცესებს აფხაზეთთანაც და ოსებთანაც. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მანამდე გულხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, პირველ რიგში, საერთაშორო არენაზე ამ მოვლენების ოკუპაციად შეფასების პოლიტიკის გაგრძელებაზე, უნდა გავაგრძელოთ ინტენსიურად განხორციელება იმ სტრატეგიული გეგმისა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით არსებობს. თუ ამას პოზიტიური გამოხმაურება ექნება კონკრეტული პირების, მიუხედავად მათი გავლენისა და თანამდებობისა, ეს იქნება ძალიან კარგი.

***— ანქვაბის განცხადება ხომ არ უკავშირდება აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებს და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გულის მოგებას?***

— ეს არის ამ მომენტის ტაქტიკური საჭიროება, რომელიც შეიძლება რაღაც როლს თამაშობდეს. მათი განწყობები შეიცვლება იმის მიხედვით, რუსეთი რას გააკეთებს.

***— ხომ შეიძლება, ანქვაბის განცხადება რუსეთის შეკვეთა იყოს?***

— ამ ყველაფერზე ფიქრი ზედმეტად თავის დაღლაა. ანქვაბი უპირისპირდება რუსეთს თუ რა ხდება, ამას დრო აჩვენებს. მთავარი მოთამაშე აქ არის რუსეთი. რუსეთთან ურთიერთობა კი პირველ რიგში გასარკვევია საერთაშორისო დონეზე. დანარჩენი ის მოთამაშეები: შამბა, ანქვაბი თუ სხვა, დამოუკიდებელ თამაშს ვერ თამაშობენ, რუსეთი როგორც მოიქცევა, იმის მიხედვით ლავირებენ ისინი. ადრე თუ გვიან ეს ვითარება შეიცვლება, მაგრამ დღეს, არა მგონია, რომ შეცვლილი იყოს.

***— მუშაობს თუ არა რუსეთი იმაზე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება კიდევ რომელიმე ქვეყანამ მოახდინოს?***

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს მუშაობა მიდის და ამიტომაც საქართველოს საგარეო სამინისტროდან განსაკუთრებული ძალისხმევაა გამოჩენილი ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რომლებთანაც, ტრადიციულად, ურთიერთობა არ გვქონია, იქნება ეს ლათინურ ამერიკასა თუ აფრიკაში. ჯერჯერობით ამის ეფექტი არსებობს. ჩვენ ვხედავთ, რომ აღიარება არ გასცდა კურიოზულ შემთხვევებს. იმედი მაქვს, არც გასცდება. ამისათვის სხვადასხვა მექანიზმია გამოყენებული.

***— რაც შეეხება თურქულ გამოცემაში გამოქვეყნებულ მასალას, აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესის არსებულ კალაპოტში გაგრძელების შემთხვევაში აზერბაიჯანი ომს გამოაცხადებს. ამის საშიშროება რამდენად არის?***

— არ ვიცი, რა წერია ამ გამოცემაში. ყარაბაღის პრობლემა ძალიან სერიოზულია. რუსეთმა თავის დროზე სერიოზული წვლილი შეიტანა ამ ყველაფრის გაღვივებაში, მაგრამ, გარდა რუსული სცენარისა, ამ კონფლიქტს სხვა განზომილებაც გააჩნია. აფხაზურ-ცხინვალურ ამბებში რუსული ხელი აბსოლუტურად გადამწყვეტია. ყარაბახში ცოტა რთულად არის საქმე. რუსეთს აწყობს ამ ორი სამხრეთკავკასიური ქვეყნის დაპირისპირება. პუტინის მთელი კონცეფცია რუსეთის გავლენის დაპირისპირებაზეა აგებული. მაგრამ რუსეთი რომ შეიცვალოს და მოინდომოს ამ კონფლიქტის სწრაფად დამთავრება, აფხაზეთის შემთხვევაში ეს ერთ დღე-ღამეში შეიძლება მოხდეს, იქ კი ასე მარტივად არ მოხდება, იმიტომ რომ ორი სახელმწიფო, თავისი შესაძლებლობებით, საგარეო კავშირებითა თუ მატერიალური შესაძლებლობებით არის დაპირისპირებული. რა თქმა უნდა, რუსეთმა რომ მოინდომოს მართლა კონსტრუქციულობის თამაში, ეს საქმეს ძალიან წაადგება, მეტი გზა ექნებათ ევროკავშირს, აშშ-ს, ჩაერიონ ამ საქმეში და რაღაც კომპრომისები გამოინახოს. ჩვენთვის რისკის შემცველია, თუ საქმე ომამდე მივიდა. იმედი მაქვს, საერთაშორისო თანამეგობრობა და ადგილობრივი პოლიტიკოსები ბაქოსა და ერევანში რაღაც ნაბიჯებს გადადგამენ და ეს არ მოხდება. ის განცხადება, რაც ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნდა, უფრო განგაშის ზარების შემოკვრას ემსახურება, ვიდრე იმას, რომ ახალი ომი იყოს.

***— ჩვენთვის რისკი რა იქნება?***

— ეს ომი თუ მოხდა, ეს რუსეთს აძლევს საშუალებას, რომ ამ ომში ჩაერიოს. რაღაც მიზეზად ან საბაბად გამოიყენოს, რომ სისხლისღვრაა შესაჩერებელი, სომხეთთან გააჩნია სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება, იმიტომ რომ დსთ-ში ერთად არიან და ამ ყველაფრის საფუძველზე ჩაერიოს. თუ ჩაერევა, შეიძლება, ცდუნება გაუჩნდეს, რომ ჩვენი ტერიტორიის გამოყენებით ჩაერიოს და ეს არის რისკის შემცველი.

***— შეიძლება, ცხელი წერტილები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდეს?***

— როგორ გადმოვა, ვერ გეტყვით, მაგრამ რუსეთის ჯარების მოძრაობა არ იქნება გამორიცხული, რაც დიდი რისკის შემცველია, თან მოძრაობა — ჩვენ დაუკითხავად. ჩვენი მხრიდან რაც შესაძლებელია, გაკეთდება მოწოდებების დონეზე, რომ შეხების წერტილები მონახონ ერევანმა და ბაქომ, მაგრამ განსაკუთრებულია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა.

***— თუ გავითვალისწინებთ პუტინის წინასაარჩევნო კამპანიებს, კავკასიაში სიტუაცია იძაბებოდა სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში. თუ ვითარება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიძაბა, ეს 2012 წელს არის მოსალოდნელი?***

— რუსეთის ბერკეტები, ყარაბაღში ომი მოხდეს ან არ მოხდეს, არც ისე ძლიერია. აქ უფრო ბაქოსა და ერევნის როლია მნიშვნელოვანი, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს.

# როგორ შევინახოთ ლუდი

ლუდის მოყვარულებს ურჩევნიათ უფრო მეტის დახარჯვა ექვს შეკვრა ლუდზე, ვიდრე ერთი ბოთლი ღვინის ყიდვა. ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია ლუდის სათანადოდ შენახვა.

1. ლუდი ლითონის შეფუთვაში ან მინის ბოთლში ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში.
2. ლუდის „დაწვენა“ ცალ გვერდზე გარკვეული დროის განმავლობაში კონტეინერს აქცევს ჟანგბადის ზემოქმედების ქვეშ რასაც მოჰყვება გემოს დაკარგვა.
3. ლუდი არ უნდა იქნეს გადატანილი მაცივრის ერთი უბნიდან მეორეში რადგან ტემპერატურის უმნიშვნელო ცვლილებაც კი გავლენას ახდენს ლუდის არომატზე.
4. რაც უფრო ცივია ლუდი მით ნაკლებად არომატულია. ბევრ ქვეყანაში წარმოებს ოთახის ტემპერატურის მქონე ლუდის მიტანა სუფრაზე.
5. ჩამოსასხმელი ლუდის პასტერიზაცია არ ხორციელდება, რის გამოც მას უკეთესი გემო აქვს ვიდრე კონტეინერებსა და ბოთლებში ჩამოსხმულ ლუდს.

გაგიმარჯოთ!

**რა ფაქტორები ახდენს გავლენას ლუდის შეფუთვაზე**

**ლუდის ბოთლების ტიპები**

ლუდის ბოთლებს სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვს. ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას ლუდის შეფუთვაზე. ყავისფერი ან მომწვანო მინის გამოყენება უზრუნველყოფს პროდუქტის დაცვას მზის სინათლისგან, რომელსაც შეუ□ლია ლუდის ქიმიური შედგენილობის დაშლა. ესთეტიკურ მხარეს ხშირად უპირატესობა ენიჭება და ამის გამო გამჭვირვალე ბოთლებში ჩამოსხმული ღია ფერის ლუდი უკეთესად იყიდება. გამოცემა ehOW-ს თანახმად ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ზომა განსაზღვრავს მოხმარებას □ მაგალითად, მოიხმარს თუ არა მყიდველი პროდუქტს მთლიანად თუ ყიდულობს ლუდს თანდათანობით მოხმარების მიზნით.



**„მუცლის“ მქონე ლუდის ბოთლი (Stubby)**

ეს ბოთლი გაცილებით დაბალია ვიდრე ტიპური ლუდის ბოთლი და ფაქტიურად ყელი არ გააჩნია. შეფუთვისას ეს ბოთლი ნაკლებ ადგილს იკავებს, კომპაქტურია შენახვისას და მიწოდებისას. ის გაცილებით უფრო მტკიცეა ვიდრე საშუალო სიდიდის ლუდის ბოთლი, დამზადებულია უფრო სქელი მინისგან და ჩვეულებრივ ყავისფრად ან მწვანედ არის შეფერილი. ასეთი „მუცლიანი“ ლუდის ბოთლები გავრცელებულია ევროპაში და პოპულარული იყო კანადაში 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების შუახანებამდე. „მუცლიანი“ ლუდის ბოთლები ნოსტალგიური რეპუტაციით სარგებლობს კანადაში და საკოლექციო ნივთადაც კი იქცა. ამერიკული ლუდების ძალზე მცირე რაოდენობა გამოდის „მუცლიან“ ბოთლებში.

**ლუდის „დოქისებრი“ ბოთლი (Growler)**



ამ ტიპის ბოთლში ჩადის ჩამოსასხმელი ლუდის ნახევარი გალონი, მაგრამ ასევე გამოდის 1 ლიტრის ან 1 კვარტის მოცულობით. ის ჩვეულებრივ განკუთვნილია ჩამოსასხმელი ლუდისთვის. მომხმარებლებს შეუ□ლიათ საკუთარი „დოქებით“ საყვარელი ჩამოსასხმელი ლუდის შინ წაღება. ამ ბოთლის გამოყენების ერთ□ერთი უპირატესობა სიიაფეა. გახსოვდეთ, რომ როდესაც ხურავთ მრავალჯერადი გამოყენების ბოთლს ფრთხილად უნდა იყოთ რომ არ მოხდეს ნახშირორჟანგის დაკარგვა. Growler-ი ჩვეულებრივ მუქი შეფერილობისაა. რობერტ სიმონსონი „ნიუ იორკ თაიმსში“ აღნიშნავს, რომ ლეგენდის თანახმად სახელი Growler-ი წარმოიშვა იმ ბგერისგან რომელსაც გამოსცემდა ნახშირორჟანგი როცა ჩამოსასხმელი ლუდი სათლებით დაჰქონდათ.

**მაღალი ყელი**



მაღალყელიანი ბოთლები გავრცელებულია ქვეყნების უმრავლესობაში. მაღალყელიანი ლუდის ბოთლები განსაკუთრებით გავრცელებულია ამერიკაში. Beer Club-ის თანახმად ეს მაღალი და ნატიფი ბოთლები ცნობილია როგორც ISB (დარგობრივი სტანდარტული ბოთლი Industry Standard Bottle□. მაღალყელიანი ბოთლების სიდიდე ჩვეულებრივ ერთგვაროვანია, და შესა□ლებელია მათი გადამუშავება და ხელახალი გამოყენება. მაღალყელიანი ბოთლები გამჭვირვალე ფერადი მინისგან არის დამზადებული, მაგრამ ისინი უფრო ხშირად გამჭვირვალე მინისაა ვიდრე სხვა ტიპის ბოთლები. მაღალყელიანი ბოთლი ადვილი დასაჭერია და ყელით დაჭერა (ბოთლის სხეულის ნაცვლად□ ხელს უწყობს ლუდის უფრო ხანგრ□ლივად შენარჩუნებას ცივ მდგომარეობაში.

# „არტ-გენი“ სუხიშვილებმა დახურეს

ეკა ირემაშვილი

**ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ, „არტ-გენის“ დამაგვირგვინებელი ღონისძიება გაიმართა. თბილისში დაგეგმილ დასკვნით კვირეულამდე ფესტივალმა საქართველოს სამ რეგიონში იმოგზაურა. „არტ-გენი“ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში დაიწყო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული სახალხო ფესტივალის წლევანდელ თემად მისმა ორგანიზატორებმა განათლება აირჩიეს.**




ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელოვანების შემოქმედება, რეწვა, ფოლკლორი და ქორეოგრაფია. გაიმართა შერეული კონცერტი ჯგუფ „არტ გენის“ მონაწილეობით. კახეთის შემდეგ ფესტივალი უკვე ქვემო ქართლში, კერძოდ, რუსთავში გაგრძელდა, სადაც თავი მოიყარა რუსთავის, მარნეულის, ბოლნისისა და მათი მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ. რეგიონული ფესტივალი „არტ გენი“ სამეგრელოში ქალაქ ფოთთან მალთაყვას ტბის პირას დასრულდა. მასში სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. რეგიონების ტურზე გამოვლენილი საუკეთესო მონაწილეები თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 15-26 ივლისს გამართულ „არტ-გენის“ დასკვნით ტურზეც წარდგნენ.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში ფესტივალზე ტრადიციულად წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის გამოფენა, ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენები, ფოლკლორული კონცერტი სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით. დღის ბოლოს კი შერეული კონცერტი იმართებოდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ნიაზ დიასამიძე და „33ა“, „ზუმბალენდი“, ნინო ქათამაძე, „ჩვენებურები“, „სუხიშვილები“, „ხიდი“, „რეგიონი“, „ფრანი“. წლევანდელ ფესტივალს სტუმრობდნენ უცხოელი ხელოვანები საფრანგეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, ავსტრიიდან და სენეგალიდან.

ფესტივალი „არტ-გენი“ მუსიკოსების ზაზა კორინთელის (ზუმბას) და ნიაზ დიასამიძის ინიციატივით 2003 წელს დაფუძნდა. ფესტივალის ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა, ასევე ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა. ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი.

„არტ-გენის“ ინიციატივით არაერთი სხვადასხვა ტიპის ღონისძიება იმართება, მათ შორის საქველმოქმედოც. გაზაფხულზე ქართული საბრძოლო ხელოვნების წევრის გადასარჩენად საქველმოქმედო კონცერტი ფესტივალ „არტ-გენის“ ინიციატივით კლუბ „33ა“-ში გაიმართა. მასში მონაწილეობას ცნობილი ქართველი შემსრულებლები და ჯგუფები იღებდნენ. ყველა ერთად კავშირი „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ წევრ ნიკოლოზ ლაცაბიძის სიცოცხლის გადასარჩენად გაერთიანდა. კონცერტში მონაწილეობდნენ ნიაზ დიასამიძე, „ჩვენებურები“, „მგზავრები“, „ფრანი“, „ნიკოლშოუ“ და „გორდელა“. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი გამოსვლა. კავშირმა „ქართული საბრძოლო ხელოვნებამ“ უნიკალური ქართული საომარი ხელოვნების, ტრადიციების გადარჩენასა და აღორძინებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და მათი ჩათვლით მთელი ქართველი ერი ვალდებულია, „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ გვერდით დადგეს, მით უმეტეს, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ნიკოლოზ ლაცაბიძეს თავის არეში ანევრიზმა აღმოაჩნდა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გასკდეს და გამოიწვიოს მასობრივი სისხლჩაქცევა თავის ტვინში, რაც სიცოცხლისთვის შეუთავსებადია. პაციენტს გადაუდებელია ოპერაცია ესაჭიროება. ოპერაციის ჩატარება საქართველოში ვერ ხერხდება. საზღვარგარეთ კი ეს ოპეარცია 64 ათასი ევრო ჯდება.

ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად ეწყობა კონცერტები და წარმოდგენები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით, ტარდება ხალხური რეწვისა და სახვითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვები. ჩვეულებრივ ფესტივალი იწყება საქართველოს რეგიონებიდან და, ტრადიციულად, იხურება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ასე მოხდა წელსაც. ფესტივალი „არტ-გენი“ მისი 7 წლის არსებობის თავზე არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასწრებადი ღონისძიება საქართველოში, რომელიც ღიაა ყველა თაობისთვის.

ფესტივალმა მირზაანში გააერთიანა როგორც ადგილობრივი ანსამბლები და მომღერლები, ასევე სტუმრები თბილისიდან — ანსამბლი „წინანდალი“, თელავის ანსამბლი „შემოძახილი“, უხუცესი მომღერალი ანდრო სიმაშვილი და მისი მოწაფეები, დედოფლისწყაროს რაიონის ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ფოლკლორული თეატრი „ბარის ფშავლები“, თელავის რაიონის სოფელ ართანის ანსამბლი „სიმღერეთი“, ახმეტის რაიონის ანსამბლი „პანკისი“, ახმეტის რაიონის ანსამბლი „კესელო“, წნორის ედიშერ გარაყანიძის სახელობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ანსამბლი „ამერ-იმერი“, თელავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ორონთა“, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის ანსამბლი „კაკაბელები“, საგარეჯოს ფოლკლორული ანსამბლი „გარეჯი“, ანსამბლი „ბალავარი“, გურჯაანის სახელმწიფო ანსამბლი. „არტ-გენის“ კახელი მასპინძლები ელოდებოდნენ სტუმრებს თბილისიდან — თსუ-ს გოგონათა ანსამბლ „გორდელას“, რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლს, ანსამბლ „ფიცვერცხლს“, კავშირ „საბრძოლო ხელოვნებას“.

ამ ფესტივალის ძირითადი მიზანი ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენაა. თავიდანვე ფესტივალის დამაარსებელი ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორისა და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია, ხიდის აღდგენა ქალაქსა და სოფელს შორის, სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურის ჩამოტანა, რაც, ერთი მხრივ, ახალგაზრდობაში გააღვივებს ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორე მხრივ, დაანახვებს სოფლის მცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას. სწორედ ამიტომ დაარსდა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც, ტრადიციულად, იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა. ფესტივალის 8 წლის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 ათასი ადამიანი ესწრება.

„არტ-გენი“ ყოველ წელს იძენს ახალ აქტუალურ თემას, რომელიც მას თან სდევს შემდგომშიც. პირველ წელს ფესტივალის თემა იყო საოჯახო ფოლკლორი, შემდგომ წლებში კი — ხალხური რეწვა, კავკასიური სახლი, ეკო ტურიზმი, საქართველოს რეგიონები და მიგრაციის პრობლემები, მსოფლიო ტრადიციული კულტურები, საქართველოს ეკოლოგია და ბიო კულტურები, ქართული ენა დამწერლობა. წლევანდელი „არტ-გენის“ თემა განათლება იყო. ფესტივალის მიერ მომზადებული პუბლიკაციებია წიგნი „საქართველოს რეწვის ოსტატები“ და ფილმები „ადილა“ და „მოგზაურობა ფოლკლორში“ (რეჟისორი გია დიასამიძე), ასევე სიდი „ქართული საოჯახო ფოლკლორი“, „არტ-გენი“. გასული წლიდან გამოიცემა კვარტალური ჟურნალი „არტ-გენი“. ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან თამრიკო მელიქიშვილი (რეწვისა და სახვითი ხელოვნების კურატორი, ჟურნალ „არტ-გენის“ რედაქტორი), მარია ლანევსკი (ფოტოგრაფი, საერთაშორისო ურთიერთობების კურატორი), ნიაზ დიასამიძე (თანამედროვე ხელოვნების კურატორი), ზაზა კორინთელი, ზუმბა (ტრადიციული ხელოვნების კურატორი), გიორგი ბარამიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი), ნიკუშა ანჯაფარიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი).

14-დან 24 ივლისის ჩათვლით „არტ-გენი“ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში და კლუბ „33ა“-ში გაიმართა. კლუბში ახალი აუდიო დისკის „არტ-გენის“ პრეზენტაცია შედგა. ეთნოგრაფიულ მუზეუმში კი წარმოდგენილი იყო ქართული რეწვისა და ეთნოგრაფიის გამოფენები, ქართული საბრძოლო ხელოვნება, თბილისის ფოლკლორული ანსამბლები, რეგიონები მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რუსთავი, ზემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, კახეთი, ქვემო სვანეთი, გურია, აჭარა, თუშეთი, პანკისის ხეობა, იმერეთი, ფოთი. ყოველი საფესტივალო დღე ცნობილი ჯგუფებისა და მომღერლების კონცერტით სრულდებოდა — „არტ-გენზე“ საკუთარი შემოქმედება წარმოაჩინეს ჯგუფებმა: „ხიდი“, „ლეჟავები“, „დეციში“, „აუტსაიდერი“, „ფრანი“, „ფემილი“, „ჩვენებურები“, „რეგიონი“, „ზუმბალენდი“, „33ა“, „სუხიშვილები“, „გორდელა“, ნინო ქათამაძე. „არტ-გენში“ მონაწილეობდნენ სტუმრები შრი-ლანკიდან, ავსტრიიდან. თბილისში ჩამოვიდა ფოლკლორული ანსამბლი ესტონეთიდან, რომელმაც თავისი შემოქმედება ეთნოგრაფიულ მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას გააცნო.

ყველაზე დიდი მოლოდინი „არტ-გენის“ ერთგულ მაყურებელს მაინც დასკვნით საღამოზე ჰქონდა. ფესტივალი „სუხიშვილებმა“ დახურეს, რომლებმაც სპეციალურად ამ დღისთვის ახალი პროგრამა დადგეს და საზოგადოებას წარუდგინეს. უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა, კლასიკური ქართული ცეკვების გარდა, ლათინოამერიკული ცეკვებიც შესთავაზა ეთნოგრაფიულ მუზეუმში შეკრებილ მაყურებელს. „პიაცოლა“ — ასე ჰქვია პროექტს, რომელიც მთლიანად უცხოური მუსიკით არის შედგენილი. ვინაიდან „სუხიშვილები“ ყოველ წელს მონაწილეობენ „არტ გენში“, მათ კარგად იციან, რომ მოლოდინი მათი გამოსვლის მიმართ ყოველთვის დიდია. უცხოური ცეკვები სუხიშვილებმა „არტ-გენზე“ პირველად შეასრულეს. ღია ცის ქვეშ ახალი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ვარიაციები გაჟღერდა, რამაც წარმოდგენა კიდევ უფრო მასშტაბური და გრანდიოზული გახადა.

„სუხიშვილებთან“ ერთად „არტ-გენის“ დახურვაზე კონცერტი ნიაზ დიასამიძემ და ჯგუფმა „33ა“-მაც გამართეს. მათ მსმენელს ძველ და კარგად ცნობილ სიმღერებთან ერთად ახალი მუსიკალური კომპოზიციებიც შეუსრულეს. მთლიანობაში წლევანდელი „არტ-გენით“ მისი ორგანიზატორებიცა და სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ და ერთმანეთს მომავალ წლამდე დაემშვიდობნენ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● დიდი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი-რეაბილიტოლოგი უმაღლესი შედეგებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, სმენის დაქვეითებას (ნევრიტს), ოტიტს, პროსტატიტს, ცისტიტს, მასტიტს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სახსრების ანთებას, კიდურების დაბუჟებას, რადიკულიტს და სხვა დაავადებებს. მიღება ჩაწერით. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 10 ლარი. ტელ: 595 45-50-35; 253-44-39 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# „ტორპედომ“ სლოვენიური შეკრება მოგებით დაიწყო

**სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“ ორშაბათს პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა.**

გიორგი კიკნაძის გაწვრთნილთა მეტოქე, ისრაელის უმაღლესი ლიგის ბინადარი, ჰაიფას „ჰაპოელი“ გახლდათ. სპარინგი ქართველების უპირატესობით წარიმართა და მათი მინიმალური გამარჯვებით დასრულდა — 1:0. შეხვედრის 68-ე წუთზე თავი გიორგი მეგრელაძემ გამოიჩინა, რომელსაც საჯარიმოში თენგიზ ჩიკვილაძემ პასი გამოიყენა და მეკარეს ეფექტური დარტყმით, ბურთი თავზე გადაუგდო.

მატჩი „ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, ქემოკლიძე, გურული, დოლიძე (იოსელიანი 77), ჩიკვილაძე (ჩხარტიშვილი 70), თარხნიშვილი, სეთურიძე (დ.კირკიტაძე 77), დ.ბოლქვაძე (კუხიანიძე 75), გოცირიძე (მეგრელაძე 57).

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ კი უკვე 3 ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო. პირველ მატჩში ვეტერინარებმა თურქეთის პირველი ლიგის „ბოლუსფორი“ 3:1 დაამარცხა.

პირველი გოლი ბექა ზაქრაძემ გაიტანა 27-ე წუთზე გიორგი ჯანელიძის პასით, მეორე ტაიმში კი გიორგი ვაშაკიძემ ორჯერ გამოიჩინა თავი 62-ე და 67-ე წუთზე.„ვიტ ჯორჯიამ“ მეორე მატჩი — „ქარაბუქსფორის“ მეორე გუნდს 5:1 მოუგო.

პირველი გოლი გიორგი ჯანელიძემ 24-ე წუთზე გაიტანა, თხუთმეტ წუთში კი გურამ გურეშიძემ უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა.

გიორგი კორიფაძემ (53 წთ), ბესიკ ჩიმაკაძემ (57 წთ) და ელგუჯა ლობჟანიძემ (81 წთ) თავი მეორე ტაიმში გამოიჩინეს.

„ვიტ ჯორჯია“ თურქული შეკრების მესამე მატჩში პირველი ლიგის ელაზიგსფორს ნულოვანი ფრით დაშორდა.

თანაბარი თამაში იყო, სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ გოლის გატანა ვერავინ ვერ მოახერხა.

# „მესხზე“ უკვე საფარს აგებენ

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები სწრაფი ტემპით გრძელდება და შეიძლება ითქვას, უკვე გადამწყვეტ ფაზაშიც შევიდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, სრული დატვირთვით მიმდინარეობს ვიპ და პრესლოჟების სარემონტო სამუშაოები. ორივე ლოჟის სტრუქტურა და განლაგება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თითქმის მთლიანად შეიცვალა გასახდელების ბლოკიც. განახლებულ „მიხეილ მესხზე“ საპრესკონფერენციო დარბაზი გასახდელების გვერდით მოეწყობა, რაც ჟურნალისტებს საქმეს საგრძნობლად გაუადვილებს. თუკი ადრე მედიის წარმომადგენლებს, მწვრთნელებსა თუ სპორტსმენებს ერთმანეთთან შესახვედრად მოედნის გადაკვეთა ან სტადიონისთვის ნახევარი წრის შემოვლა უწევდათ, ამიერიდან მსგავსი დისკომფორტი აღარ შეექმნებათ.

გასახდელების ბლოკის რეაბილიტაციისას საკმაოდ უსიამოვნო პრობლემებმა იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ თითქმის უფუნქციო იყო საკანალიზაციო სისტემა. ამის გამო, საჭირო გახდა მიწის დიდი ნაწილის ამოღება და ახალი საკანალიზაციო სისტემის გაკეთება.

შეგახსენებთ, რომ ვაკის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები უეფას სტანდარტების ზედმიწევნით დაცვით მიმდინარეობს. სფფ-ის მიზანია, სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სტადიონს იმდენი ვარსკვლავი მიენიჭოს, რამდენიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის თამაშებისა და სხვა უმაღლესი დონის მატჩების ჩასატარებლადაა საჭირო.

ყველაზე სასიამოვნო სიახლე კი ისაა, რომ გუშინ თბილისში ბალახის ახალი საფარის ჩამოტანას ელოდნენ. ბერძნული კომპანია გაზონის დაგებას დაუყოვნებლივ შეუდგება. სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება და ახალი მინდორი ექსპლუატაციაში დაგეგმილ ვადაში შევა. ანუ სტადიონი პირველი სექტემბრისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

## შედეგები

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ზ.პაული ............ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-კრ.სოვეტოვი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 17 | 12 | 4 | 1 | 35:11 | 40 |
| 2.ზენიტი | 17 | 9 | 6 | 2 | 27:12 | 33 |
| 3.რუბინი | 17 | 8 | 6 | 3 | 24:13 | 30 |
| 4.დინამო | 17 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 32 |
| 5.სპარტაკი | 17 | 8 | 3 | 6 | 17:19 | 27 |
| 6.ანჟი | 17 | 7 | 6 | 4 | 17:14 | 27 |
| 7.ლოკომოტივი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:22 | 25 |
| 8.ყუბანი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:17 | 24 |
| 9.კრასნოდარი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:23 | 22 |
| 10.ტერეკი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:18 | 19 |
| 11.ამკარი | 17 | 5 | 4 | 8 | 12:23 | 19 |
| 12.ტომი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:27 | 19 |
| 13.ვოლგა | 17 | 5 | 1 | 11 | 17:21 | 16 |
| 14.როსტოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 19:30 | 13 |
| 15.ნალჩიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:24 | 13 |
| 16.კრ.სოვეტოვი | 17 | 2 | 5 | 10 | 9:26 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დამფერმლაინი-სტ.მირენი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მოზერველი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2.სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3.რეინჯერსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4.ჰართსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 5.დანდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 6.კილმანროკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7.აბერდინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 8.სტ.ჯონსონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 9.დამფერმლაინი | 10 | | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 10.სტ.მირენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 11.ჰიბერნიანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 12.ინვერნესი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**დანია. სუპერლიგა**

კიოგე-მიდტიულანდი ............ 2:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-დიურგარდენი ............ 2:1

გიოტებორგი-ჰალმშტადი ............ 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მიუპა-როვანიემი ............ 2:0

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

მაკედონია-სლოვაკეთი ............ 66:57

**წყალბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**კაცები**

ჩინეთი-ს.აფრიკა ............ 9:7

ბრაზილია-ყაზახეთი ............ 7:9

რუმინეთი-კანადა ............ 8:12

ავსტრალია-იაპონია ............ 15:9

უნგრეთი-აშშ ............ 9:8

სერბეთი-გერმანია ............ 9:4

ხორვატია-ჩერნოგორია ............ 9:6

**ქალები**

ჩინეთი-კანადა ............ 9:7

**ჩოგბურთი**

**ატპ. გშტააღი. თიხა**

ისტომინი-ფიშერი ............ 6:3;3:6;6:4

მაურერი-მარტი ............ 6:1;6:4

ანდრეევი-ზვერევი ............ 6:3;6:2

ლუჩაკი-სადეცკი ............ 3:6;6:3;7:6

ჰირალდო-გარსია ლოპესი 5:7;6:2;6:1

**ვტა. სტენფორდი. ჰარდი**

სავჩუკი-ფიშმანი ............ 6:1;6:4

ფუჯივარა-სპირზი ............ 4:6;7:5;6:0

ერაკოვიჩი-პელეტიე ............ 6:3;6:1

მარინო-ვანდევეიე ............ 6:4;6:4

რადვანსკა უ.-ტომლიანოვიჩი6:3;5:7;6:1

რადვანსკა!ა.-ზაჰლავოვა ............ 6:1;6:2

მაკჰეილი-ლუჩიჩი ............ 6:1;6:0

ციბულკოვა-დატე კრუმი ............ 6:2;7:6

ჩანგი-ბარტე ............ 7:5;6:4

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მიროსლავ კლოზე: მიულერი ყველა დროის საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელია

33 წლის გერმანელმა თავდამსხმელმა მიროსლავ კლოზემ, რომელიც რომის „ლაციოში“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ გადავიდა, იტალიური კარიერა კარგად დაიწყო და ორ საკონტროლო მატჩში 8 გოლის გატანაც მოახერხა. ჯერ „ლაციომ“ აურონცო დი კადორეს ნაკრებთან 16:0 მოიგო და კლოზემ პირველ ტაიმში 5 გოლი გაიტანა, მერე კი, „პიევიჯინასთან“ 8:0-ზე მოგებულ შეხვედრაში ჰეთ-ტრიკიც შეასრულა.

მართალია, ამ შემთხვევაში ამხანაგურ შეხვედრებზე გვაქვს საუბარი და თანაც, სუსტ მეტოქეებთან, მაგრამ 8 გოლს ხომ გატანა უნდა. იტალიურ მედიას მირო ქებით ცაში აჰყავთ, ხოლო იქაური ფანები უკვე აღმერთებენ.

„ბილდ ამ ზონთაგმა“ კი კლოზეს საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა.



***— იტალიაში სხვა არც ერთ ახალწვეულს არ აქებენ ისე, როგორც თქვენ.***

— მართალია, გაზეთების კითხვა ჯერ არ შემიძლია, მაგრამ მეუბნებიან, შენზე მხოლოდ კარგს წერენო, რაც ძალიან მახარებს. „ლაციოში“ თამაში ძალიან მსიამოვნებს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გადადგმულ ნაბიჯს ოდნავადაც არ ვნანობ.

***— მაგრამ?***

— ეს ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია, გოლები კი ძალიან სუსტ მეტოქეებს გავუტანე. შესაბამისად, ჯერ დასკვნების გაკეთება ძალიან ადრეა. ფაქტია, რომ კარგ ფორმაში ვარ და არც მონდომება მაკლია, მაგრამ ჯერ მაინც ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ „ლაციოში“ კარგად დავიწყე. მთავარი ამბები 27 აგვისტოს დაიწყება, როცა იტალიის ჩემპიონატი აიღებს სტარტს და მერე უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ რამდენი გოლი გავიტანე ტესტ-მატჩებში.

***— გულახდილად გვითხარით, „ლაციოში“ ყოფნა „ბაიერნში“ ყოფნაზე მეტად გსიამოვნებთ?***

— ფეხბურთის თამაშით მე ყველგან და ყოველთვის დიდ სიამოვნებას ვიღებ.

***— თუმცა „ბაიერნში“ ბოლოს ძალიან იშვიათად გათამაშებდნენ და ლოგიკურად, „ლაციოში“ ყოფნა უფრო უნდა გსიამოვნებდეთ — „ლაციალეს“ ძირითად შემადგენლობაში თამაში ხომ ფაქტობრივად გარანტირებული გაქვთ.***

— მოდით, ასე ვიტყვი: „ბაიერნში“ ბოლოს ყველაფერი ისე აღარ იყო, როგორც მე მინდოდა. ლუის ვან გაალს ჩემგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა და აშკარად ჩანდა, რომ მის კონცეფციაში ვერ ვჯდებოდი. მართალია, ვან გაალი „ბაიერნში“ ახლა აღარ მუშაობს, მაგრამ მაინც... თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ბავარიულ კლუბში 4 ძალიან ლამაზი წელიწადი გავატარე. ცოტა ხნის წინ ზუსტად ეს ვუთხარი „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგესაც და იმ ოთხი წლისთვის მადლობა გადავუხადეს. რეკორდმაისტერში ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ მიუნხენურ გუნდში ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა.

***— „ლაციოში“ კი ასე არ არის.***

— ვფიქრობ, „ლაციოს“ დარი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ის უფრო იქნება, რომ ახალ სეზონში კარგი სტარტი ავიღოთ. გუნდში ბევრი ახალწვეულია და მათ შეთამაშება სჭირდებათ. კარგი სტარტი კი კარგი განწყობის გარანტია იქნება, რაც თავის მხრივ წარმატების გარანტიაც არის. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა გამოვა.

***— თავს გუნდის ლიდერად გრძნობთ?***

— დიახ, ამისათვის საკმარისი გამოცდილება მაქვს და ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც „ლაციომ“ გადამიბირა, სწორედ ჩემი გამოცდილება იყო. აქ ყველამ ძალიან მეგობრულად მიმიღო. ნამდვილი ლიდერი კი მაშინ ვიქნები, როცა ოფიციალურ მატჩებშიც კარგად ვითამაშებ და გოლებს გავიტან.

***— თანაგუნდელებს რა ენაზე ესაუბრებით?***

— ინგლისურად. ცოტა იტალიურად და გერმანულადაც. 7 ივლისის შემდეგ შეკრებაზე ვიყავით და მეც იძულებული გახლდით, ბევრი მელაპარაკა. იტალიური ძალიან ადვილი ენა გამოდგა — სიტყვებს სწრაფად ვითვისებ და უკვე ბევრ რამეს ვიგებ. შეკრებაზე წიგნებიც მქონდა წაღებული და იტალიურში ვმეცადინეობდი. ძალიან მელოდიური და ლამაზი ენაა.

***— 10 აგვისტოს გერმანია ბრაზილიას ამხანაგურად ეთამაშება. როგორ ფიქრობთ, სასტარტოში იქნებით?***

— თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ფაქტია, რომ კარგ ფორმაშიც ვარ. იმის თქმა მინდა, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ უნდა მოვხვდე.

***— ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თქვა, გამორიცხული არაა, რომ კლოზე და მარიო გომესი ძირითადში ერთად ვათამაშოო.***

— თუ ტაქტიკურ სქემას ოდნავ შევცვლით, ეს ცუდი ნამდვილად არ იქნება — პირიქით, რაც უფრო მოქნილები ვიქნებით, მით უკეთესი. ასე ხომ ყველას უფრო გაუჭირდება ჩვენს წინააღმდეგ თამაში. მოკლედ, რატომაც არა?

***— უახლოეს სანაკრებო მატჩებში, გერმანიის ნაკრებში გერდ მიულერის ლეგენდარული რეკორდის დამხობა შეგეძლებათ. ამისათვის კი საჭიროა, რომ 68-გოლიან კვოტას გადააჭარბოთ. ნაციის ბომბარდირი ძალიან ავადაა... გერდთან კონტაქტი გაქვთ?***

— „ბაიერნიდან“ მითხრეს, გერდი თავს უკეთ გრძნობსო და შვებით ამოვისუნთქე. იმედია, ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ გაუუარესდება. ის ყველა დროის საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელია. მისი ყველა რეკორდიც რომ დაემხოს, მიულერი მაინც ყველა დროის საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელი იქნება.

# რომა და სიტი მეკარეების პრობლემას აგვარებენ

**იტალიური „რომასა“ და ჰოლანდიური „აიაქსის“ ხელმძღვანელებმა საინტერესო სატრანსფერო შეთანხმებას მიაღწიეს.**

სკაი სპორტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ამსტერდამული კლუბის მეკარე მარტენ სტეკელენბურგი რომაელი გახდება. ამავე წყაროს ცნობით, მხარეები სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ — 6 მილიონი ევრო.

სტეკელენბურგი ახალ კლუბთან სავარაუდოდ 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და მისი წლიური ხელფასი მილიონი ევრო იქნება.

შეგახსენებთ, რომ „რომაში“ ლუის ენრიკეს მისვლის შემდეგ ეს მეორე ხმაურიანი კონტრაქტი იქნება — ესპანელმა სპეციალისტმა მანამდე თავისი თანამემამულე ბოიან კრკიჩი „ბარსელონადან“ გადაიბირა.

„მანჩესტერ სიტის“ სამწვრთნელო შტაბმა კი „სტოკ სიტის“ მეკარეს, ტომას სიორენსენს დაადგა თვალი. „დეილი მირორის“ ცნობით, 35 წლის დანიელს მისი ახლანდელი კლუბის ხელმძღვანელები კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობენ, მაგრამ მხარეები საერთო ენის გამონახვას ვერაფრით ვერ ახერხებენ.

მანჩესტერელები სიტუაციას ყურადღებით აკონტროლებენ და ხელსაყრელ მომენტს ელიან, რათა ჯო ჰარტს ძლიერი დუბლიორი მოუძებნონ. მას შემდეგ, რაც შეი გივენმა „ასტონ ვილას“ მიაშურა, „მანჩესტერ სიტიში“ მეორე მეკარის ადგილი ვაკანტური გახდა.

# ბატისტა არგენტინას აღარ გაწვრთნის



არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი თავისუფალია — სერხიო ბატისტა თანამდებობიდან გადააყენეს.

კოპა ამერიკაზე მეოთხედფინალში, ურუგვაისთან განცდილი მარცხის შემდეგ, ბატისტას შესაძლო გადაყენების თემა აქტუალური გახდა. პირველ რიგში მისი გადადგომის მოთხოვნით გულშემატკივრები წარდგნენ და ნაკრებში მარადონას დაბრუნებას ითხოვდნენ. შემდეგ კი ბუენოს აირესში რამდენიმე ათასი კაციც შეიკრიბა, მაგრამ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ამ საკითხზე საუბრისგან თავს იკავებდა. მეტიც, ბატისტას თავისი მოთხოვნებ წაუყენა და პოსტზე დარჩენას დაპირდა. თუმცა, წერტილი გუშინწინ, ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა დასვეს.

სერხიო ბატისტას ხელმძღვანელობით „ალბისელესტემ“ 17 შეხვედრა ჩაატარა. 8-ჯერ მოიგო, 6-ჯერ ფრედ ითამაშა და 3-ჯერ დამარცხდა.

არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ტექნიკური დირექტორი კარლოს ბილარდო კი კოპა ამერიკაზე განცდილ ფიასკოს მთლიანად საკუთარ თავზე იღებს.

— წარუმატებლობაში მთავარი დამნაშავე ვარ, რადგან არგენტინის ფეხბურთის ასოციაციას მე ვურჩიე ნაკრების სათავეში სერხიო ბატისტას დანიშვნა. ეს ასოციაციის ხელმძღვანელებსაც კარგად ემახსოვრებათ და მზად ვარ, ისე მოვიქცე, როგორც თავად გადაწყვეტენ, — განაცხადა ბილარდომ.

# საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 117 მილიონი დოლარი შეადგინა

2011 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 4 117 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, ეს 2010 წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელს 38 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტი 1 037 მილიონი აშშ დოლარი, ანუ წინა წელთან შედარებით 44 პროცენტით მეტი იყო.

იმპორტმა კი 3 079 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ეს კი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 36 პროცენტით აღემატება.

**მედიანიუსი**

# მარნეულში უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მარნეულის რაიონის სოფელ ილმაზლოში პრევენციული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ნივთების პრეზენტაცია გამართა. 2011 წლის ივლისიდან „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. ხაზის დაპროექტების სამუშაოების მიმდინარეობისას გარდაბნის რაიონის სოფელ ილმაზლოსთან №53 ანძის განთავსების ტერიტორიაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პრევენციული არქეოლოგიური სამუშაოების დროს შეისწავლა ძვ.წ.აღ. VII საუკუნით დათარიღებული წარჩინებული ქალის სამარხი, რომელშიც ოქროს სამკაულები — ბეჭდები და საყურეები, ასევე თიხის ჭურჭელი და ცხოველის ნაშთები აღმოჩნდა.

აღმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეპოქაში (ადრერკინის ხანაში) ძვირფასი ლითონის ნაკეთობები ძალზე იშვიათია. აღმოჩენილი ნივთები გამოირჩევა ნაკეთობის მაღალი დონით,





ხოლო საყურეების ანალოგი ცნობილი არ არის.

არქეოლოგებმა დუმილი დაარღვიეს. სოფელ ილმაზლოში გათხრები ისე დაიწყო და რამდენიმე დღის განმავლობაში ისე მიმდინარეობდა, რომ ამ თემაზე საუბარი არავის სურდა, ექსპედიცია პირველად დასკვნას ელოდებოდა. სამარხს სრულიად შემთხვევით მიაგნეს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კვლევის პირველადი შედეგები ცნობილი უკვე გახდა.

უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა აჭარაშიც. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გობრონეთში ბრინჯაოს უძველესი ნივთები აღმოაჩინეს — ქვის ჯამები, რომლებშიც სპილენძის მადანს ანაწევრებდნენ, ბრინჯაოს ზოდი, ნედლეული, რომლისგანაც სხვადასხვა სახის სამეურნეო და საბრძოლო მასალებს ამზადებდნენ.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებმა დაახლოებით 5 ათასი წლის წინანდელი პერიოდის კოლხური ტომების გადმონაშთს მიაკვლიეს. ამ აღმოჩენებით დასტურდება, რომ ჭოროხის აუზის მკვიდრნი ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის უძველესი შემოქმედები იყვნენ. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია რომაული ხანის ქვევრიც, რომელშიც ყურძნის ნარჩენები იყო. ექსპერტები ამჟამად ყურძნის ჯიშის დადგენაზე მუშაობენ.

კიდევ ერთი უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა ამჯერად საგარეჯოში. ივრის ჭალებში ადიდებულმა მდინარემ ნაპირზე მიწა გადარეცხა, რის შედეგადაც ზედაპირზე თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს შუბის წვერები გამოაჩინა. მასალას მეცნიერები, სავარაუდოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულით ათარიღებენ. აქ, სავარაუდოდ, სამლოცველო უნდა ყოფილიყო, სადაც შესაწირს აგროვებდნენ. უახლოეს მომავალში გათხრები დაიწყება და ტერიტორიას მეცნიერები უფრო დეტალურად შეისწავლიან.

# შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი დასრულდა

ეკა ირემაშვილი

ბათუმში რიგით მეხუთე შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი ცნობილი მომღერლის მეისი გრეის კონცერტით დასრულდა. შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ოფიციალური წარმომდგენი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყო, ხოლო გენერალური სპონსორი — საქართველოს ბანკი. ფესტივალის მასპინძლობა შერატონ ბათუმმა ითავა, ხოლო ფესტივალის ორგანიზატორი — ტრადიციულად კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ გახდა. წელს ფესტივალი 6 დღის განმავლობაში გაგრძელდა. მთლიანობაში მასობრივად დაიტვირთა 4 სცენა, რომელზეც გამოვიდა 21 ბენდი, ხოლო ფესტივალში ჩაერთო 150-მდე მუსიკოსი სხვადასხვა ქვეყნიდან. 6-დღიანი ფესტივალის განმავლობაში ჩატარდა 37 შოუ და მასში გაერთიანდა 11 ქვეყანა.

წლევანდელ ფესტივალს ესტუმრნენ ჯაზის ნამდვილი ვარსკვლავები — სთენლი ჯორდანი, ვირტუოზი გიტარისტი, თავის ტრიოსთან ერთად. ლეგენდარული ჯგუფი იელოუჯექეთსი, რომელმაც წელს თავისი მსოფლიო ტურით აღნიშნა დაარსების საიუბილეო 30 წლისთავი. საქართველოში პირველად იყო წარმოდგენილი გოსპელის სტილი და ის ბათუმში ლონდონ ქომუნითი გოსპელის გუნდმა წარმოადგინა. ბათუმს ესტუმრა პოპის მეგავარსკვლავი, ორი გრემისა და ორი ემტივის მუსიკალური ჯილდოს მფლობელი მეისი გრეი. სპეციალურად შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალისთვის საქართველოს ესტუმრა დიჯეი ლოჯიქი. ის სამი დღის განმავლობაში აწყობდა ჯემსეიშენებს. „მენ ინ ბრასმა“ კი სამი დღის განმავლობაში დღეში 5-ჯერ კონცერტები პირდაპირ ბათუმის ქუჩებში გამართა. კონცერტები ჩატარდა ევროპის მოედანზე, პიაცასა და ძველ ბულვარში (კოლონადებთან). წელს პირველად, ფასიანი კონცერტების გარდა, გაიმართა უფასო კონცერტებიც, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსებმა გამართეს. საფესტივალო დღეებში მოეწყო სპეციალური ადგილები, სადაც გაიყიდა სხვადასხვა სუვენირი ფესტივალის ლოგოთი. შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ფასი 40-დან 90 ლარამდე მერყეობდა.

რიგით მეხუთე საიუბილეო ჯაზ-ფესტივალამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ვიქტორინაში გამარჯვებულები დაასაჩუქრა. 2010 წლის შავი ზღვის ფესტივალზე ჩატარებული ვიქტორინის სწორი პასუხის ავტორებს სამინისტრომ საჩუქრად 2011 წლის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი გადასცა. გამარჯვებულებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „არტ-კაფეში“ თავად მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მიულოცა. ორი აბონემენტის მფლობელები ირაკლი მარუაშვილი და დავით ისაკაძე გახდნენ. გასულ წელს შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ერთ-ერთი ჯემ სეიშენის წინ ორი შეკითხვა დაისვა, სწორი პასუხის ავტორებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან საჩუქრად 2011 წლის ბათუმის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტი გადაეცათ. როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა აღნიშნა, მსგავსი ვიქტორინის ჩატარება წლევანდელ ჯაზ-ფესტივალზეც დაიგეგმა. გამარჯვებულები მომავალი წლის ჯაზ-ფესტივალის სრული პაკეტით დაჯილდოვდებიან.

შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის პირველ 3 დღეს ჯაზის მოყვარულებს კონცერტებზე დასწრების საშუალება უფასოდ ჰქონდათ, ხოლო ბოლო 3 დღის განმავლობაში უკვე ღონისძიებებზე დასასწრებად ბილეთები გაიყიდა. როგორც ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ივლისის 6 დღის განმავლობაში ბათუმი ნამდვილი ჯაზისა და მუსიკის ქალაქად იქცა.

„ბლექ სი ჯაზ ფესტივალის“ პირველ კონცერტზე ბათუმის ბულვარის კოლონადებთან თბილისის ბიგ ბენდმა დაუკრა. პარალელურად კი კონცერტები ევროპის მოედანსა და ბათუმის პიაცაზე გაიმართა, სადაც ჯაზის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ, ლევან ჩაჩუას, იური ჰონინგის, სოულ მამას და სხვა უცხოელი შემსრულებლებისთვის მოესმინათ. ფესტივალი ბათუმის ქუჩებში გერმანული ჯგუფი „მენ ინ ბრასის“ შოუ პროგრამით გაგრძელდა, საღამოს კი ჯაზის მოყვარულები ისევ დაუვიწყარ კონცერტებზე აღმოჩნდნენ. კონცერტის მეორე ნაწილი ჯაზ-ბენდ „ლონდონ კომიუნით გოსპელს“ დაეთმო.

პიაცაზე მაყურებლის წინაშე იელოუ ჯექეთსი და სტენლი ჯორდანიც წარდგნენ. ჯაზ-ფესტივალის დახურვამდე ერთი დღით ადრე ბათუმის პიაცაზე რამდენიმე გრემის მფლობელი იელოუ ჯექეთსი გამოვიდა, მოგვიანებით კი სცენა ვირტუოზ გიტარისტ სტენლი ჯორდანსა და მის ტრიოს დაეთმო. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, პიაცას მოედანზე ჯაზის მოყვარულები ნაცნობ კომპოზიციებსა და ჰიტებს 2 საათის განმავლობაში ისმენდნენ.

შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის მეოთხე დღეს საფესტივალო მოვლენების ეპიცენტრმა ბათუმის პიაცაზე გადაინაცვლა, ახალი კომპოზიციები და რამდენიმე ჰიტი ჯაზ-პიანისტმა ბექა გოჩიაშვილმა ამერიკულ ბენდთან ერთად წარმოადგინა. ახალგაზრდა ვირტუოზი შემსრულებელი ბათუმის ჯაზ-ფესტივალში უკვე მეორე წელია მონაწილეობს.

ყველაზე დიდი მოლოდინი ზღვისპირა ქალაქში და მის სტუმრებში მსოფლიო ვარსკვლავის მოლოდინი აღმოჩნდა. ბათუმში მეისი გრეი ჩავიდა. ჯაზ-შემსრულებელმა ბათუმის ჯაზ-ფესტივალი დახურა. პიაცას მოედანზე ფესტივალის დასკვნით საღამოს 3 ათასი ადამიანი დაესწრო. ორი გრემისა და ემტივი-ს მრავალი ჯილდოს მფლობელი მუსიკოსი მეისი გრეი ბათუმს ერთი დღით სტუმრობდა და საკუთარ ხუთკაციან ბენდთან ერთად მელომანებს საათ-ნახევრიანი პროგრამა შესთავაზა. როგორც კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ წარმომადგენელმა მიშა გიორგაძემ განაცხადა, ბათუში ჯაზ-ფესტივალი ნამდვილად შედგა და ის თავის ერთგულ მსმენელს მომავალ წლამდე დაემშვიდობა.

## თქვენი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ

ტესტი



1. თუ გიგრძვნიათ ოდესმე, რომ ცხოვრებაში რაღაც გაკლიათ?
2. თუ გაქვთ აუსრულებელი სურვილები?
3. თუ გაგჩენიათ გრძნობა, რომ ცხოვრების ორომტრიალის მიღმა დარჩით?
4. თუ გაქვთ ნიჭი და ტალანტი, რომელიც ჯერ არ გამოგიყენებიათ?
5. იმედის თვალით უყურებთ მომავალს?
6. თუ აკეთებთ ამჟამად იმ საქმეს, რაზეც ოცნებობდით?
7. თუ გაღიზიანებენ სხვა ადამიანები?
8. ხშირად ხართ მოწყენილი?
9. თუ გიგრძვნიათ ოდესმე ისეთი იმედგაცრუება, რომ ყვირილი მოგინდათ?
10. თუ გაგჩენიათ ადამიანისთვის გარტყმის სურვილი?
11. ზოზინებს უხეშად თუ ეპყრობით?
12. მომთმენი თუ ხართ?
13. გაკმაყოფილებთ საკუთარი სექსუალური ცხოვრება?
14. თუ ისურვებდით, რომ მეტი მოვალეობა გქონდეთ?
15. ამაყობთ თქვენი მიღწევებით?

გ.თ.

**პასუხები** დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-3, 5, 6, 12, 13 შეკითხვებისა)

**0-4 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილია, სიცოცხლისაგან სიამოვნებას იღებთ.

**5-8 ქულა:** იმედგაცრუება თქვენთვის უცხო ხილი არაა, თუმცა არც ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ალბათ სჯობდა, თქვენი ცხოვრების კონტროლი გაგეძლიერებინათ. გაიხსენეთ, რა ამბიციები გქონდათ.

**9-15 ქულა:** თქვენი ცხოვრება იმედგაცრუებით არის სავსე. ნუ ზიხართ გულხელდაკრეფილი, ნუ ელით, თითქოს რაიმე თავად მოხდება, თუ თავად გახდებით თქვენი ცხოვრების ბატონ-პატრონი, არაფერს წააგებთ, უარეს შემთხვევაში საკუთარ თავს მაინც დააბრალებთ მარცხს და წარუმატებლობას.

გ. თ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საფეხბურთო სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 4. სახელმწიფო სკანდინავიაში; 7. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 9. აშშ-ს პრეზიდენტი; 12. სამთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 15. ქართველი პოლიტიკოსი, ადვოკატი ქალი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის მოთხრობა; 10. ზოდიაქოს ნიშანი; 11. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 19. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება; 21. მკბენარა მწერი; 22. მოვარდნილი წყალი; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კომედია; 2. ბოტი; 3. დუვრი; 4. კიმონო; 6. ჩოქბჯენი; 9. ბეკონი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. მწყერი; 17. სევრი; 18. ტუშფა; 20. თხლე.

**თარაზულად:** 1. კობზარი; 5. აიაჩო; 7. ბულიმია; 8. მიტარბი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ასკილი; 16. საბენა; 17. სკოტი; 19. პერო; 21. ბეკინა; 22. დრეიფი; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიქტორია; 2. ყინჩი; 3. პრიშტინა; 4. ჯოკერი; 7. წნორი; 9. ალუჩა; 12. ალმადოვარი; 14. ბურახი; 15. ქვაწვია; 17. ბიშკეკი; 20. თეთრა.

**თარაზულად:** 5. მისისპი; 6. ბარამბო; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. სტიპელი; 16. ხაჭაპური; 18. ჰინდი; 19. ცაიში; 21. ფეიხოა; 22. შიფონერი; 23. ცისკარი.

## იუმორი



ექიმი შემოვლაზე:

— დღეს თქვენი ხველა უკვე მომწონს.

— რა თქმა უნდა, მთელი კვირაა ვვარჯიშობ...

* * *

— ადამიანი 97% წყალია, დანარჩენი 3% წყალში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევს...

* * *

შვილი მამას ეკითხება:

— მამი, ფარანი სად გვაქვს?

— რად გინდა ფარანი?

— პაემანზე მივდივარ.

— შენს ასაკში მე პაემანზე ფარნით არ დავდიოდი.

— მერე, ხომ ხედავ, სიბნელეში ვინ აირჩიე?

— ტვინი ყველას აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ინსტრუქცია ყველას არ მოჰყვება...

* * *

— ქალი ძაღლისგან იმით განსხვავდება, რომ ძაღლს ყველაფერი ესმის, მაგრამ ვერაფერს ამბობს...

* * *

ქალმა პოლიციის განყოფილებას მიმართა:

— გამაუპატიურეს!

პოლისმენი ეკითხება:

— რამდენი წლის ხართ?

— ორმოცის.

— თქვენს ასაკში ნებით უნდა დათანხმებოდით...

* * *

— კანონი ერთია და ყველას არ ყოფნის...

* * *

— მეცნიერებმა დარვინის თეორიაში შესწორება შეიტანეს, ადამიანი მაიმუნისგან კი არა, ორი მაიმუნისგან წარმოიშვა...

* * *

გუშინ ჩემს მეგობრებთან ვიყავი სტუმრად. შესანიშნავი წვეულება. ვისაუბრეთ, დავლიეთ, ცოტა ბანქოც ვითამაშეთ. ერთი დიალოგი გამახსენდა:

— რა უცნაურია, ფილმი „რა სურთ ქალებს“ არსებობს, მაგრამ ისეთივე ფილმი მამაკაცებისთვის კი არა. რატომ?

ყველას სიცილი აუვარდა, დიასახლისი კი ნაზად მომეფერა თავზე და მეუბნება:

— ნანა, საყვარელო, უამრავი მასეთი ფილმი არსებობს, ცალკე კინოინდუსტრიაც კი მიუძღვნეს...

* * *

ორი ჯენტლმენი მატარებლით მგზავრობს. მატარებელი გაჩერდა. ერთი მეორეს ეკითხება:

— რატომ გავჩერდით?

— ძროხა დგას რელსებზე.

— ეს უკვე მეექვსედ. აქაურებს, ალბათ, ბევრი საქონელი ჰყავთ.

— არა, ერთი და იგივე ძროხაა, უბრალოდ, გვასწრებს...

* * *

— თქვენ ჩემი ქალიშვილი მზითევის გარეშე გინდათ წაიყვანოთ?

— დიახ, მის გარდა თქვენგან არაფერი მინდა.

— თუ ასეა, მაპატიეთ, მაგრამ ვერ გაგატანთ.

— რატომ?

— იდიოტი სიძე არ მინდა.

* * *

კუპეში ახალგაზრდა ქალ-ვაჟი მგზავრობს. ვაჟს წიგნში ჩაურგავს თავი და კითხულობს. გოგონა ჩუმად იპრანჭება, თმაზე ხელს გადაისვამს, ფეხს ფეხზე გადაიდებს, ამოიოხრებს, ასე გაგრძელდა 30 წუთი. გოგონამ ვეღარ მოითმინა და ეუბნება:

— ყურადღებას რატომ არ მაქცევ?

ვაჟმა წიგნი გვერდზე გადადო:

— სწორად მეუბნებოდა მამა, სჯობს, თავიდან ნახევარი საათი მოითმინო, ვიდრე შემდეგ სამი საათი ეხვეწო...

## აშშ-მ რუსეთის ოფიციალური პირები „შავ სიაში“ შეიყვანა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის მთელი რიგი ოფიციალური პირები „შავ სიაში“ შეიყვანა.

„ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, სიაში მოხვდნენ ისინი, ვისაც ამერიკული მხარე იურისტ სერგეი მაგნიტსკის სიკვდილში დამნაშავედ მიიჩნევს. სახელმწიფო დეპარტამენტის „შავ სიაში“ 60-მდე გვარია შეტანილი.

აუდიტორული კომპანია „ფაირსტოუნ დანკანის“ მმართველი პარტნიორი სერგეი მაგნიტსკი 2009 წლის 16 ნოემბერს ციხის სამკურნალო დაწესებულებაში, დაპატიმრებიდან მე-11 თვეს და ბრალის წარდგენიდან მე-7 დღეს გარდაიცვალა. მას ბრალი დაედო ორგანიზაციის მიერ გადასახადების გადახდაზე თავის არიდების ორგანიზებასა და თანამონაწილეობაში.

**ინტერპრესნიუსი**

## დღის კალენდარი

### 27 ივლისისთვის



**წლის 198-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 167 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-7 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთხშაბათიმოციქულისა აკვილასი, 70-თაგანისა (I); მოწამისა იუსტი რომაელისა, მხედრისა (I); ღირსისა ელიოზ მონაზონისა (IV); ღირსისა ონისიმე სასწაულმოქმედისა (IV); იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა, თეოდორე სტუდიელის ძმისა (830);

ღირსისა ნიკოდემოს მთაწმინდელისა (1809).

წმიდა მოწამე იუსტინე რომაელი წარმართი მხედარი იყო. მას უფლის მაცხოვნებელი ჯვარი გამოეცხადა. იუსტინემ ირწმუნა ქრისტე და თავისი მამული ღარიბებს დაუნაწილა. დიდებულ მაგნეზუის იუსტუსის ბრძანებით, იგი სასამართლოს წარუდგინეს. დიდი ხნის წამების შემდეგ წმიდანი ცეცხლში ჩააგდეს. მან უფალს მიაბარა სული, მაგრამ ალმა მისი ცხედარი ვერ დააზიანა.

ღირსი მამა ელიოზი ცხოვრობდა და გარდაიცვალა მეოთხე საუკუნეში. იგი ბავშვობაშივე მიაბარეს მონასტერში. როდესაც დავაჟკაცდა, ეგვიპტის უდაბნოს მიაშურა, სადაც თავდადებული მოღვაწეობით სულიერ სრულყოფილებას მიაღწია.

წმიდა ელიოზი ღრმა სიბერეში აღესრულა.

### დაიბადნენ:

1452 — ლუდოვიკო მორო, მილანის ჰერცოგი. გარდაიცვალა 1508 წელს.

1667 — იოჰან ბერნული, შვეიცარიელი მათემატიკოსი და მექანიკოსი. გარდაიცვალა 1748 წელს.

1737 — ერიკ ლაქსმანი, შვეიცარიელი მოგზაური. გარდაიცვალა 1796 წელს.

1798 — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი, საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარი. გარდაიცვალა 1850 წელს.

1824 — ალექსანდრე დიუმა-უმცროსი, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წელს.

1835 — ჟოზე კარდუჩი, იტალიელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1907 წელს.

1924 — ოთარ თაქთაქიშვილი, კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1937 — ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი, მხატვარი. გარდაიცვალა 2002 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1841 — მიხეილ ლერმონტოვი, რუსი პოეტი.

1844 — ჯონ დალტონი, ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი.

1915 — ვაჟა-ფშაველა, პოეტი.

1962 — რიჩარდ ალდინგტონი, ინგლისელი მწერალი.

### მოვლენები:

1147 წელი — დაარსდა მოსკოვი.

1713 წელი — რუსეთმა და თურქეთმა სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

1795 წელი — ესპანეთმა და საფრანგეთმა სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

1919 წელი — რადიოკომპასი პირველად გამოიყენეს საავიაციო ნავიგაციაში.

1921 წელი — ბრიუსელში საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი შეიქმნა.

1948 წელი — გამოცადეს მსოფლიოში პირველი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავის

კომეტის„ საცდელი გაფრენა (ბრიტანული ავიამშენებელი ფირმა დე ჰავილენდი„).

1953 წელი — ვატიკანმა რელიგიური დღესასწაულების დროს ფაბრიკებში მუშაობა აკრძალა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა — გამარჯვების დღე.

ვიეტნამი — მსხვერპლთა ხსოვნის დღე.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე თამარ წიქარაძე, შვილები დავით, ქეთევან და ნიკოლოზ ჩხეიძეები, დაძმა მზექალა და სპარტაკ ჩხეიძეები, უახლოესი ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან ჩხეიძე**

პანაშვიდი: 26, 27 ივლისს, 17 საათზე, ნინა ჟვანიას ქ. №4;

გამოსვენება: 28 ივლისს, 14 საათზე, წმინდა მარინეს სახელობის ტაძრიდან, დუშეთის ქ.№12 (მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორია).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ახალი მოძრაობა დააფუძნეს

1990-იანი წლების „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დღეს ახალი მოძრაობა „ძალაუფლება ხალხს“ დააფუძნეს.



როგორც მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ირინა სარიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მოძრაობის დეკლარაციას უკვე ორასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს მოძრაობის მხარდამჭერად ყოფნა დეკლარაციაზე ხელმოწერის გარეშეც შეუძლიათ.

მისი მტკიცებით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად ერთადერთი გზა არის 1991 წლის მდგომარეობით სამართალმემკვიდრეობის აღდგენა და ეროვნული თანხმობის საფუძველზე, არჩევნების დანიშვნა.

— ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელიც მოვა „თავისუფალი აზრის სახლის“ ოფისში, კაკაბაძეების ქუჩაზე და დეკლარაციას ხელს მოაწერს, შესაძლებელია, ადამიანი მოძრაობის მხარდამჭერი ხელმოწერის გარეშეც იყოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ორივე გზა: არჩევნები და საპროტესტო გამოსვლები ჩიხშია შესული. არჩევნების მომხრე ძალები იგივე „ექვსიანი“ მზად არის არჩევნები სააკაშვილთან გარიგებით ჩაატაროს, რაც გამორიცხულია. „რაც შეეხება ქუჩის აქციებს, აქ კიდევ უფრო მძიმედ არის ვითარება, როგორც ჩანს, სააკაშვილის მრჩეველთა ძალისხმევით, აქციების მომხრე ოპოზიცია შუაზე გაიყო, რისი დადასტურებაც მაისის აქციებია. აქედან გამომდინარე ამ ყველაფრის აწონ-დაწონვის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ უნდა აღორძინდეს ის სული და განწყობა, რომელიც იყო ეროვნულ მოძრაობაში. ჩვენ მაშინ, როცა ქუჩაში გამოვდიოდით, აზრდაც არ მოგვსვლია გვებრძოლა იმისათვის, რომ შემდეგ ხელისუფლებაში მოვსულიყავით. ახლა პრობლემები გაიზარდა და ერთ-ერთი პრობლემა ხელისუფლების შეცვლაა. ჩვენი აზრით, აქციების ორგანიზატორი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხელისუფლების ჩამნაცვლებელი. მივედით კიდევ ერთ დასკვნამდე: იმისათვის, რომ უფრო ნეიტრალური მოედანი შეიქმნას სამართლიანობის აღდგენისათვის, აუცილებელია ეროვნული მოძრაობის განწყობით მოქმედება და გამოსვლები. ყველაფერი უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა ეროვნულმა მოძრაობამ ყველაზე მთავარი შეცდომა დაუშვა გაიყო ორ ნაწილად, როგორც გვახსოვს განხეთქილება მოხდა ცნობილ პიროვნებებს შორის. ჩვენ მივიჩნევთ, რომ უნდა აღდგეს 1991 წლის სამართალმემკვიდრეობის პრინციპი, ანუ ის ათვლის წერტილი, საიდანაც უნდა დაიწყოს როგორც საარჩევნო პერიოდისთვის მომზადება, ასევე არჩევნების დანიშნვა. ეს შესაძლებელია მოხდეს მაშინდელ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით, — განაცხადა სარიშვილმა.

ახალი მოძრაობის დამფუძნებლები არიან ირინა სარიშვილი, თამაზ ბიბილური, თემურ ქორიძე, ლევან ღვინჯილია და სხვები.

**მედიანიუსი**

## მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირებას კონფერენცია მიეძღვნა



იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გტრჩღ) ორგანიზებით, ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტში“ გუშინ, საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან აცნობეს, კონფერენციის, სახელწოდებით — „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია“, მიზანია საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებით მოხდეს აღნიშნული სტატუსის პირთა შემცირება საქართველოში.

კონფერენციას ესწრებიან: სომხეთის, აზერბაიჯანის ლატვიის და უკრაინის გენერალური კონსულები; ასევე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უნგრეთის, ყაზახეთის, მოლდოვისა და უკრაინის სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები; საქართველოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პარლამენტის წევრები.

2011 წლის სტატისტიკის თანახმად, საქართველოში სულ 1781 დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირია რეგისტრირებული, თუმცა როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ამგვარ მოქალაქეთა რიცხვი გაცილებით მეტია. მშობლების მიერ ახალშობილთა რეგისტრაციისას ხარვეზები შეიმჩნევა, ამიტომ ბავშვები მოქალაქეობის არქონის რისკის ქვეშ ექცევიან. გარდა ამისა, არსებობს დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემები ეროვნულ უმცირესობათა შორის, რაც ქვეყანაში მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობას ზრდის.

ამავე ღონისძიებაზე დაგეგმილია საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების განხილვა მოქალაქეობის არქონის პრევენციისა და შემცირების სფეროში. გარდა ამისა, განხილული იქნება მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსის შესახებ 1954 და 1961 წლების კონვენციებში გაწევრიანების საკითხები.

კონფერენციის მასპინძელი ქვეყნის იუსტიციის მინისტრის მოადგილის გიორგი ვაშაძის განცხადებით, კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეობის ქონის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. მოქალაქეობის არმქონეობის პრობლემა კი ძალიან ბევრი ქვეყნის ერთობლივი მსჯელობის საგანია.

— იმისთვის, რომ საქართველოში აღარ იყვნენ მოქალაქეობის არმქონე ადამიანები და მოხდეს ამ პრობლემის პრევენცია, ჩვენ ამისთვის კარდაკარ სამუშაოებს ვახორციელებთ, — განაცხადა ვაშაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## გეგენავას ძალოვნების კვების სფეროში ფაქტობრივი მონოპოლია გაუუქმდა

მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ გეგენავასა და თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალიას ფარული დაპირისპირების შედეგად გეგენავას კუთვნილ კომპანია „მეგაფუდს“ ქართველი ძალოვანების კვების სფეროში ფაქტობრივი მონოპოლია გაუუქმდა.

— ახალიამ თავდაცვის სამინისტროში მოსვლისთანავე გადაწყვიტა, გეგენავას კომპანია „მეგაფუდი“ ტენდერებიდან გამოეთიშა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამას აჭიანურებდა. ახლა კი მან ეს ჩანაფიქრი განახორციელა და „მეგაფუდი“ ქართული ჯარის კვების სფეროს ფაქტობრივად ჩამოაშორა, — განუცხადა „პირველს“ ინფორმირებულმა წყარომ.

აღნიშნულის გადამოწმებას „პირველი“ თავად „მეგაფუდში“ შეეცადა, თუმცა იქ კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

— ჯერჯერობით ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით. ვერც ჩვენი თანამშრომლები გეტყვიან რამეს, — განუცხადა „პირველს“ კომპანიის საზოაგდოებასთან ურთიერთობის სასმახურის წარმომადგენელმა ნინო მამალაძემ.

თავდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ამ სფეროში ბოლო ტენდერი შარშან გაიმართა და მასში სამმა კომპანიამ „ელფმა“, „ქართულმა კვებამ“ და „მეგაფუდმა“ გაიმარჯვეს.

იმ ფაქტს, რომ კომპანიების რაოდენობა გაიზარდა, სამინისტროში მოთხოვნილების ზრდას უკავშირებენ.

ცნობისთვის, „მეგაფუდი“ 2007 წელს დაარსდა. კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მისი დაარსების მიზანს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მასობრივი კვების ობიექტების მართვაში აღება წარმოადგენდა. აღნიშნული საქმიანობის უფლება კომპანიამ 2007 წელს ტენდერში გამარჯვების შედეგად მოიპოვა.

„მეგაფუდი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს მასშტაბით სამინისტროს ბაზებს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, საქართველოს მასშტაბით არსებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალურ ოპერატიული დეპარტამენტს და საქართველოს შინაგანი ჯარს ემსახურება.

ადგილობრივ მომხმარებელთან ერთად „მეგაფუდის“ სერვისით ამერიკელი და ნატო-ს წევრი სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ, რომლებიც საქართველოს ერთობლივი წვრთნების ფარგლებში სტუმრობენ.

**პირველი**

## TV პროგრამა

### ოთხშაბათი 27 ივლისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მხეცების კვალდაკვალ" **08.30** ან. ფილმი "სამურაი" **09.00** სათავგად.ფ."**ლეპრიკონების საოცარი ლეგენდა**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. "**დოლმენი**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფ."რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **21.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ.ფ."**მანჯურიელი კანდიდატი**" (დ. ვაშინგტონი) **02.10** მოამბე **02.30** ევროპული არჩევანი **04.00** ჩვენი ეზო **05.00** მხ. ფილმი "**მთვარის ყურის მეფე-დედოფალი**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ.ფ."**კეთილი ადამიანები**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **01.00** მხ. ფილმი "**დედა**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ."**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ."**ახალგაზრდა ქვრივი**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერ."**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ.**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ."**დამალული სიმართლე**" **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** ბათუმი ლაივი **00.00** მხ. ფილმი "**ადრენალინი**" (15) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **02.15** მხ. ფილმი "**დაბრუნება ბრაიდსჰედში**" (12) (მ. გუდი) (სუბტ.) **04.25** მხ.ფ."**სახის გარეშე**" (15) (ჯ. ტრავოლტა) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ."**პოლიციელთა ამბები**" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **12.50, 19.30** სერ. "**მეგობრები**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ძმა**" **13.30** კონცერტი— ტრიო "თბილისი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფ. "**მაისის თოვლი**" **16.30** დოკ.ფ."ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.10** "კეთილმოწყალე უფალი" ფილმი მე-3 **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი "**ჩემი ქალაქის ვარსკვლავი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-2ნ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა (გაგრძ.)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 18-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 24-26

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 12-18

## ამინდის პროგნოზი 27 ივლისისთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი

ნუგზარ ერგემლიძე:
„ჩემს ცხოვრებაში ბედისწერული ბევრი რამეა“

ლელა მებურიშვილი:
„ყველაზე გემრიელი ხაჭაპური ნიუ იორკში ვჭამე“

ზაალ სულაკაური ფულს არავის ასესხებს





## 19-წლამდელთა ნაკრებმა მექსიკა დაამარცხა



26 ივლისს ბელფასტში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი მილქ კაპის გათამაშება, სადაც საქართველოს 19-წლამდელთა ეროვნული ნაკრებიც ასპარეზობს.

გიორგი დევდარიანის გუნდმა ტურნირი წარმატებით დაიწყო და სადებიუტო შეხვედრაში, სტადიონ „რიადაზე“ მექსიკის ნაკრები ანგარიშით 2:1 დაამარცხა.ანგარიში 25-ე წუთზე ალექსანდრე რეხვიაშვილმა გახსნა ზუსტი საჯარიმო დარტყმით და პირველი ტაიმიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა — 1:0. მატჩის 65-ე წუთზე, იმავე რეხვიაშვილმა მეორედ აიღო მექსიკელთა კარი და ანგარიში უფრო დამაჯერებელი გახადა — 2:0. მატჩის დამატებულ წუთებზე კი, მექსიკელებმა მაინც შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა, თუმცა, მეტი ველარაფერი გააკეთეს და დევდარიანის ფეხბურთელებმა ტურნირზე პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმეს — 2:1.

დღის სხვა შეხვედრებში, ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა აშშ-ს ნაკრებმა 2:0 სძლია ისრაელის ნაკრებს. ირლანდიელებმა კი, ფრე, 1:1 ითამაშეს დანიელებთან. ქართველი 19-წლამდელები მომდევნო შეხვედრას 27 ივლისს, მასპინძელთა გუნდთან გამართავს და სატურნირო თვალსაზრისით, ეს მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება.

მატჩების დაწყებამდე, ტურნირის საზეიმო გახსნა გაიმართა და დიდი მსვლელობა-აღლუმი მოეწყო ქალაქის ქუჩებში. აღსანიშნავია, რომ ტურნირს წამყვანი ბრიტანული მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებენ.

**მ. ჟ.**



# 27 ივლისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“

## ერთად გამოვა

## „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მე-2 ტომი



## ასტროპროგნოზი 27 ივლისისთვის

**ვერძი** — პლანეტები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. **კურო** — ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებსა და საქმის გარჩევებს. **ტყუპები** — სასიყვარულო ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ლომი** — სასიამოვნო დღე გელით. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. **სასწორი** — იაქტიურეთ. ეს თქვენი დღეა. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **მშვილდოსანი** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **თხის რქა** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მერწყული** — უფროსობას თვალში ნუ შეეჩხირებით. თავმდაბლად იმუშავეთ. **თევზები** — გადით ქალაქგარეთ. იმუშავეთ ბაღში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქი ფინეთში; 2. ინდოელ ქალთა ტანსაცმელი; 3. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. გაზაფხულის ყვავილი; 6. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 9. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 13. თვითმავალი, მექანიკური სარკინიგზო ურიკა; 14. ირანელი ჯარისკაცი; 15. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 17. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე იტალიელი ავტომრბოლელი; 20. ტბა თბილისში.

**თარაზულად:** 1. მეღვინეობის ოლქი იტალიაში; 5. ლეო დელიბის ოპერა; 7. გადასახადებისაგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 8. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 10. სპირტიანი სასმელი; 11. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 12. ანგორული თხის მატყლი; 16. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი ტყვია; 17. ოქრო-ვერცხლით მორთული ცხენის აღვირი; 19. რძის პროდუქტი; 21. მოკლე წარწერა გერბზე ჰერალდიკაში; 22. ღვარძლიანი, შურიანი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 23. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 24. სპეცალური სათხილამურო ფეხსაცმელი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

